

საქმე-2000
მეორე მუხლი

წინასიტყვაობა

მაგრამ სიცოცხლე, კეთილშობილს შეეფერება —
ჰქონდეს ღამაში, ან სიკვდილი სხელოვანი

„ა ი ა ნ ტ ი“.

ვარსებობ მისთვის, რომ მიყვარდეს და არა მძულდეს.

„ა ნ ტ ი გ ო ნ ე“.

I

ს. შაუხჩიშვილი
რედაქციითა და წინასიტყვაობით

სოფოკლე — ერთი იმ სამ ტრაგედიკოსთაგანია, რომელ-
თაც VI — V საუკუნეთა საბერძნეთში მაღლა ეჭირათ დროში
ბერძნული კულტურის სიდიადისა და რომელიმე დემოკრა-
ტიული ათენის საზოგადოებრივი ცხოვრების გეზს წარმოადგ-
ენენ. უსქილე, სოფოკლე და ევრიპიდე ბერძნული ტრაგედიის
განვითარების სამ საფეხურს წარმოადგენდნენ და ამავე დროს
ათენის სახელმწიფოებრივ-საზოგადოებრივი ცხოვრების გან-
ვითარების სხვადასხვა ეტაპებს ასახავდნენ თავიანთ ტრაგე-
დიებში, იმ ეტაპებს, რომლებიც განვლილ საბერძნეთის დემოკ-
რატიამ VI — V საუკუნეებში მის მიერ წარმოებულ ბრძოლაში
გამარჯვების გზაზე.

ამათგან სოფოკლეს წილად სხვადასხვა თვისება ტრაგედიებ-
ში ის ხანა, როდესაც გარდამწყვეტი ბრძოლები წარმოებდ-
ათენში არისტოკრატიათა და დემოსის შორის და დემოსი უკვე
გამარჯვების გზაზე იყო დამუდგარი. ამ ბრძოლას დემოსის
მხრით შეთაურობდა გამოჩენილი სახელმწიფო მოღვაწე და
სოფოკლეს პირადი მეგობარი პერიკლე.

პერიკლემ, რომელიც 469 წლიდან შეუღლა სახელმწიფო
მოღვაწეობას, მთელი თავისი სახელმწიფო, სამხედრო და
პოლიტიკური ნიჭი მოაწოდოდა ათენის გარშემო ეგეოსის ზღვას

ქალაქ-სახელმწიფოების შემოკრებას და იმის ნათელყოფას, რომ მხოლოდ მმართველობის დემოკრატიულ სისტემას შეუძლია უზრუნველყოს სახელმწიფოს სიმდიერე, ხალხთა მშვიდობიანი ცხოვრება და ადამიანის სულიერი თავისუფლება. ჩვენამდე მოღწეულია მის მიერ წარმომადგენლო სიტყვა, რომელშიც ის ამბობს:

«ჩვენ ისეთი სახელმწიფო წყობილება გვაქვს, რომელიც უცხოელთა კანონებს კი არა პაიას, არამედ ჩვენ უფრო წარმოადგენს ნიშნულს სხვებისათვის, ვიდრე სხვებს ვაძაგდეთ. და მისი (ე. ი. ამ სახელმწიფო წყობილების) სახელია დ ე მ ო კ რ ა ტ ი ა. ვინაიდან იგი ეყრდნობა არა უმცირესობას, არამედ უმრავლესობას. არსებული კანონების მიხედვით ყველას თანაბარი უფლება აქვს მიკუთვნებული თავის პირად საქმეებში, ხოლო სახელმწიფო საქმეებში ყველას აქვს მნიშვნელობა მისი ზაზოგადობრივი ღირსების მიხედვით, იმისდა მიხედვით, თუ თითოეულს რა ნაჭი აქვს; არათუ მისი ამა თუ იმ ღირსებადმო მიკუთვნების მიხედვით, არამედ მისი სიღრმისა და ვაჟაკობის მიხედვით (შენ გვარჯ); აგრეთვე წარჩინებულობის უქონლობა ღარიბ კაცს არაფერში აბრკოლებს, თუკი მას შეუძლია რაიმე კარგი იდეათის სახელმწიფოს... კერძო საქმეებში შეუზღუდელნი ვართ, ხოლო საზოგადოებრივ საქმეებში არ ვარღვევთ კანონებს მათ წინაშე შიშის გამო, გემორჩილებით ხელისუფალთ და კანონებს. განსაკუთრებით იმ კანონებს, რომლებიც განკუთვნილია ჩაგრულთა დასახმარებლად და რომლებიც, მართალია დაუწერელნი არიან, მაგრამ იწვევენ საყოველთაო დაგმობას, თუ მათ არ შეასრულებ... მოკლედ რომ მოვჭრა სიტყვა, ჩვენი სახელმწიფო არის ელადის განათლების აკანო და მე მგონა, რომ თითოეულ კაცს შეუძლია ჩვენში მოხერხებულად მოსდოს მრავალნაირი საქმიანობას და დამოუკიდებელ მღვთმართობას მიადნოს... ამ თვისებების გამო მოაბოვა ჩვენმა სახელმწიფომ ძალა და მნიშვნელობა».

ათენის ძლევა მოსილობის საწინდარი იყო სახელმწიფოს სკლამდგანელობა ძლიერი პიროვნების მიერ, დემოკრატიის მეთაურობა მელგარი ნებისყოფისა და მტკიცე ზასათის მქონე ადამიანის მიერ. სოფოკლეს თავის ტრაგედიაში უმთავრესად ამას აქცევს ყურადღებას: ის ასახავს მტკაც ხასიათის მქონე ადამიანებს, რომლებიც არ დრკებიან იმის წინაშე, რომ შეებრძოლონ ძელ მტუდუღუღებებს, თუკი ისინი სახელმწიფოს კეთილდღეობას ვნებას აყენებენ; ასახავს ისეთ ადამიანებს, რომლებიც სიყვითლსა და ეაყვაცობის მაღალ საფეხურზე დგანან, ხალხის საყუთილდღეოდ პირად ცხოვრებასაც იფიწყებენ და, როდესაც ამას საჭიროება მოითხოვს, ხელს იღებენ პირად ბედნიერებაზე, თუ ეს უკანასკნელი რამენაირად წინააღმდეგობაშია საზოგადოებრივი კეთილდღეობის უზრუნველყოფასთან.

შეიძლება სოფოკლეს სინამდვილეში ასეთ ადამიანებს ვერც კი ხედავდეს, მაგრამ, მისი აზრით, სინამდვილისათვის, იმ დემოკრატიული სისტემისათვის, რომლის სურათს პლატოს პერკლე თავის სიტყვაში. საჭიროა, რომ ასეთი ადამიანები არსებობდნენ.

ამბობენ, სოფოკლეს რეალისტი მწერალი არ არისო. მართლაც, შეიძლება სოფოკლეს არ იყოს რეალისტი მწერალი იმ გაგებით, როგორც ევრიბიდეა, რომელიც თავის ტრაგედიაში სინამდვილეში არსებულ ტიპებს ასახავს. მაგრამ, თუ ჩვენ კარგად ჩავუცვრადებით სოფოკლეს შემოქმედების იმ განსაზღვრას, რომელიც მოეპოვებოდა თვით ძელ ბერძნებს. დაგრწმუნდებით, რომ სოფოკლეს ტრაგედიები რეალაზმის გარკვეულ საფეხურზე არიან. სახელდობრ: ანტიოტყლე (მეოთხე საუკუნე) თავის „პოეტოქსაში“ ამბობს: „თუ ხელოვანს უსაყვედურებენ, რომ მან არაჰეშმარიტი ამბები ასახა, უნდა პასუხი გაუცეს: „მაგრამ იქნება ასახა როგორც საჭიროა“, როგორც, მაგალითად, სოფოკლემ თქვა, რომ იგი ასახავს ადამიანებს, როგორებიც ისინი უნდა იყვნენ. ხოლო ევრიბიდე — როგორებიც ისინი არიან“.

მართლაც, სოფოკლეს გმირები წარმოგვიდგენენ ადამიანებს, როგორც ისინი უნდა იყვნენ, ესე იგი იდეალურ ადამიანებს. ასეთ ადამიანებს, როგორცაც საჭიროა არიან ჰერაკლეს და სოფოკლეს ეპოქის სინამდვილისათვის, მტკიცე სასიათას მქონე და უკომპრომისო ადამიანებს. ეს გარემოება იცნობდა მართა არისტოტელემ: ეს სტოიკა თვით სოფოკლესაც, რომელსაც, როგორც ჩანს, უსაყვედურებდნენ, რომ მისი გმირები არაბუნებრივად აღმონები იყვნენ. ამიტომ, წერს არისტოტელე, უნდა უბრალოდ იხე, როგორც სოფოკლემ უპასუხაო.

დამატებით ჩავუვლით მხატვრული ნაწარმოების დანიშნულებას რეალური ცხოვრებისათვის მომსახურების გაწევას თვალსაზრისით, უთუთოდ შივალთ იმ დასკვნამდე, რომ სინამდვილეში არსებული ადამიანების ასახვა ვერ ამოსწორავს მხატვრული ნაწარმოების დანიშნულებას. პოეტი ამიტომ არის აღიარებული ხალხის მიერ „წინასწარმეტყველად“, რომ იგი არსებული ცხოვრების მიხედვით განჭვრეტს ახლო მომავლის საჭიროებას, და ამგვარად ასახავს თავის შემოქმედებაში არა მართა იმას, რაც სინამდვილეში არსებობს, არამედ (და უბრალოდ) იმასაც, რაც ამ სინამდვილეს ესაჭიროება წინსვლისათვის; არა მართა იმას, რაც არის, არამედ იმასაც, რაც უნდა იყოს, რომ ქვეყნის საქმედაწინაურდეს და არსებულის მაგივრად დასყარდეს სხვა, არსებულზე უფრო კარგი, უფრო მოწინავე.

III

სოფოკლეს 123 დრამა დაუწერია, ჩვენამდე კი მხოლოდ შვიდია მოღწეული: ანტიგონე, აიანტი. ოიდიპოს მეფე, ტრაქინელი ქალები, კლეტრა, ფილოქეტე, ოიდიპოსის კოლონიში. გარდა ამისა, მოღწეულია აგრეთვე ორი სატარული დრამა და რამდენიმე ტრაგედიის ცოტად თუ ბევრად მნიშვნელოვანი ფრაგმენტები.

სოფოკლეს გმირები იდეალური ადამიანები არიან, უბრალოდ და კეთილშობილნი, პირდაპირნი და პრინციპიალურნი, ნაზად

მოყვარული მშობლები და მგზავნი მარე შვილები, უბრალოდ პატრიოტები და მტრისათვის ზარის დამცემნი, ამიტომ უბრალოდ მიჰედვლნი და საბაყენებლნი. ნაზად მოყვარული და ანტიგონე (ტრაგედიაში „ანტიგონე“), რომელსაც არ შეუძლია ვისიმე მტერი იყოს, ვინმე სტუდენტს („გარეგნობა მისთვის. რომ მოყვარდეს და არა მხოლოდ“) და თავს სწირავს ქმის ჭაოვნის დასაცავად, მაგრამ ანტიგონეს პირდაპირობას უპირისპირდება მეფის კრეონტის პრინციპულობა, რაც მეფეს უკრძალავს ნება დართოს დასაფლავონ ანტიგონეს ძმა პოლინიკე, რომელმაც თავის საშობლოს უღალატა და მტრის ჯარი შემოიყვანა ქალაქში. ასევე ძლიერი ნებისყოფის პატრონია აიანტი (ტრაგედია „აიანტი“), რომელსაც მისდამი მიყენებულმა შეურაცხყოფამ გონება დაუქარბა; ჭკუაზე შეშლილმა აიანტმა დიდი ზარალი მიაყენა ბერძენთა ზანაქსს და, როცა გონს მოვიდა და იგრძნო, თუ რა ჩაუდენია, გადაწყვიტა, რომ ერთადერთი გამოსავალი შექმნილი მდგომარეობიდან არის:

მაგრამ სიცოცხლე, კეთილშობილს შეეფერება —
ჭონდეს ლამაზი, ან სიკვდილი საბელოვანი,

და იგი ედება საკუთარი ხელით (და არა შეურაცხყოფილი მხვილით მტრისა). ასევე დიადნი არიან სოფოკლეს სხვა გმირებიც.

განსაკუთრებული რეზონანსი ჭჭონდა მთელ მსოფლიოში „ოიდიპოს მეფე“. მასში ამოიკითხა მკითხველმა პასუხი იმ კითხვებზე, რომელიც ყოველ ადამიანს აწუხებს:

ეს, რა ყოფილხარ, დამიანო,
თუ არა ლანდი სწრაფწარმავალი?
ეს, რა ყოფილხარ კაცთ ნეტარება,
თუ არა ფუჭად მოსაქენსა ი
და წამიერი ზმანება მხოლოდ

აი, ამ სიტყვებს ამბობს თებელი მოქალაქე, რომელიც ოიდიპოსს წინაშე უდგას.

ოიდიპოსი შეილია იოკასტესი და თებეს მეფის ლაიოსისა. ძველ ბერძნებს წესად ჭჭონდათ: ვაჟი რომ შეეძინებოდათ, მისწერდნენ აკითხვებდნენ ახალდაბადებულის სვე-ბედზე, მის-

ნებმა ლათოსს უმცითხავეს: იგი მამის მკვლელი იქნება და უ-
დას ცოლად შეირთავსო. თავზარდაცემულმა მშობლებმა გა-
დაწყვიტეს შვილის დაღუპვა და გადასცეს მწყემსს ტყეში და-
საგდებად. მწყემსს შეეცოდა ბავშვი და გადაგდების მაგიერ
თავის მგებობარ მეორე მწყემსს მისცა; ამ უკანასკნელმაც ბავ-
შვი აჩუქა შორეული ფოკიდის უშვილო მეფეს, პოლიბოსს.
იზრდება ბავშვი, ვაჟკაცდება, ტოლ-ამხანაგებში გამოირჩევა
ტანადობით, მოსსრობით, კეთილშობილებით. თავის მამად მას
პოლიბოსი მიიჩნია, დედად — დედოფალი მეროპე. რომ და-
ვაჟკაცდება, მიდის — წესისდა მისხედვით — სამოსნოში იმის
გასაგებად, თუ როგორი იქნება მისი ბედი. სამოსნოში მას
ეტყვიან: მამის მკვლელი იქნები და დედის ქმარიო. ზარგანხ-
დილი ოიდიპოსი აღარ ბრუნდება შინ, სადაც ეგულება მამად
პოლიბოსი და დედად — მეროპე. იგი დადის ტყე-ღრე, ნადი-
რობს და იმით ირჩენს თავს.

გავიდა წლები. თებეს მოეცლინა სფინქსი. ზონელიც სა-
შინლად სტანჯავდა თებეს მცხოვრებლებს. ლაიოსი გაემგზავ-
რა კათარონის მთაზე მდებარე პერას ტაძარსაგან, რათა ეთხ-
ვა ღმერთქალსათვის დახმარება სფინქსისაგან თავის დასაღ-
წევად გზაზე შეხვდა მას ერთი ჭაბუკი, რომელთანაც ლაი-
ოსსა და მის მსლებლებს ჩხუბი მოუხდათ. ამ ჩხუბის დროს
ჭაბუკმა მოჰკლა ლაიოსი. ეს ჭაბუკი იყო ოიდიპოსი, რომელიც
გამოეჭა ბედისწერას ფოკიდიდან.

ჭაბუკმა განაგრძო გზა. თებეს შესასვლელთან მას დახვდა
სფინქსი, რომელმაც გამოცანა მისცა ოიდიპოსს, ოიდიპოსმა
მაშინვე ამოხსნა ეს გამოცანა და დაპარტყებულ სფინქსი იქვე
უფსკრულში ჩავარდა. თებეს უხუცესთა საბჭოს დაუდგენია,
რომ ვინც განათავისუფლებდა თებეს ურჩხულისაგან, ის გახ-
დებოდა თებეს მეფე (რადგან მეფე ლაიოსი დაღუპულიყო) და
დაქვრივებულ დედოფალსაც (იოკასტეს) ცოლად მიიღებდა.

ამგვარად, ოიდიპოსმა ორმაგად შესცოდა: მოჰკლა მამა და
დედა შეირთო ცოლად. მას ჰკონია, რომ ბედისწერა აიცილნა.
რომ გამოეჭა ფოკიდიდან, სადაც დაქტოვა მამად საგულგებე-
ლი პოლიბოსი და დედად მიჩნეული მეროპე. ბედისწერამ კ
თებეს შესასვლელთან უყვლო.

ასეა მოთხრობილი ოიდიპოსის თავგადასავალი ბერძნულ
მითში

ამგვარად, ოიდიპოსი თებეს მეფეა. თებელები სიხარული-
საგან ცას სწვდებიან. რომ ჰყავთ ასეთი მეფე: ხალხზე მზრუნ-
ველი, ხალხისათვის თავდადებული; სასახლის კარები მუდამ
ღიაა და ყველას შეუძლია. როცა უნდა, დახმარებისათვის მი-
მართოს მეფეს.

და, აი, ქალაქში გაჩნდა შავი ჭირი. აუარებელი სსსვერპ-
ლია, ხალხი ფსინავს. და.. (ამით იწყება სოფოკლეს ტრაგედია
„ოიდიპოს მეფე“) სასოწარკვეთილებაში ჩაფარდნილი ხალხი
სასახლეს მოადგება და შეელს სთხოვს ოიდიპოსს. ოიდიპოსს,
როგორც მოამაგე მეფეს, უყვე ზომები მიუღია: მას კაცი გა-
უგზავნია დეფლოს სამოსნოში საკითხავად. ბრუნდება სამოს-
ნოში გაგზავნილი კრეონი, ოიდიპოსის ცოლის ძმა. და მოაქვს
მისნის პასუხი — შავი ჭირი მუსრავს ქალაქს იმიტომ, რომ
ლაიოსის მკვლელი დაუსჯელად განაგრძობს ქალაქში ცხოვრე-
ბას, და ჭირი არ მოიხსნება. საინამ მკვლელს არ იპოვითო.
ოიდიპოსმა ზომი არ აკის, რომ სწოვოდ ის არის ლაიოსის-მკვლე-
ლი. და იგი სიტყვას აძლევს თებელებს, რომ ის უთუოდ
აღმოაჩენს მკვლელს.

სოფოკლეს სურს გვიჩვენოს, თუ როგვარ მოექცევა ძლიერი
პიროვნება, აღჭურვილი დაღებოთი თვისებებით, როდესაც ის
პირისპირ აღმოჩნდება კატასტროფულ მდგომარეობასთან
ასეთ ფიანზე სოფოკლემ ღიღის ოსტატობით წარმოიკედგინა
მთლიანობა ძლიერი პიროვნებისა. ოიდიპოს — საბელწონხეჭო-
ლი მეფეა თავისი ხალხისა და თავისი ოჯახის უზომოდ მოყ-
ვარული და უადრესად კეთილშობილი ადამიანი. ხალხისათვის
თავდადება მას, ქვეყნის ნაყრობელს, თავის უწინდეს ელად
მიიჩნია. ბრძნება აქვს გაცემული. რომ არავინ შეიფაროს
მკვლელი. ვინც არ უნდა იყოს ხალხის უბედურების მიზეზი,
თვით წყვირც სამეფო გვარიისა, ის მას არ დაინდობს.

პო ღმერთები ვინც კურბოს ჩემსა ბრძანებს,

მას მიწა ექმნეს უმსაგლო, ცოლი უჭო...

ბოლოს დათს ვიტყვი, თუ ჩემს სახლში იმაღის მკვლელი,
ღე მის თანაბრად წყველ ვიყო უსუნისამდე.

და ოიდიპოსი თვითონ კისრულობს ხალხს თავზე დამტყდარი უბედურების გამოკვეცას და ერთბეოარეზე მიყოლებით არკვევს ყველა წკრილ ცნობასაც კი. როდესაც საქმის ვითარებას ატყობს, რომ უბედურების მიზეზი თვით მისკენ, ოიდიპოსისაკენ იკვლევს გზას, და იოკასტეს სურს თავისი ქმარი შეაჩეროს კვლევა-ძიების შუაგზაზე, რათა ბოლომდე არ გამოვლდნენ საიდუმლოება, ის მაინც ბოლომდე განაგრძობს მიზეზების რკვევას. ის ქვეყნის მპყრობელია და, როდესაც დელფოს სამისნომ შემოივალა — ხალხს ისხნით შავი ჭირისაგან, თუ იპოვით ლაიოსის მკვლელსა, ის ხმარობს ყოველ დონეს, რომ ეს მკვლელი იპოვოს. ვარდა ამისა, ოიდიპოსი კეთილშობილი ადამიანია და ზნეობაზე უადრესად მაღალი წარმოდგენის მქონე: ამიტომ, თუცა არკვევს, რომ მკვლელი თვითონ ყოფილა, მის მაინც ბოლომდე მიჰყავს გამოძიება. ასევე თანმამულებარა ეს ძლიერი პიროვნება, როდესაც უკანასკნელი ნასკივც იხსნება და მკლავდება, რომ ოიდიპოსი არა თუ ლაიოსის მკვლელია, არამედ თაურის დედის ქმარი ყოფილა.

ამგვარად, პარტენება კი ძლიერია, მაგრამ ისიც უძლურია იმ წინააღმდეგობის თავიდან აცილებაში, რომელიც სუფევს ბედისწერასა და ადამიანის რეალურ შესაძლებლობას შორის. ხოლო სოფოკლეს ვალი იყო ეჩვენება. რომ ძლიერი პიროვნება, ოიდიპოსი, ძლიერავე დარჩა კატასტროფის გამოკვეცას შემდეგაც: მან გამოიჩინა საკმაო ნებისყოფა, რომ გამოესყიდა დანაშაული. თუცა ის თავისდა უნებურად ჰქონდა ჩადენილი.

„ოიდიპოსი მეფის“ წინამდებარე თარგმანი შესრულებულია პოეტ დავით გაჩეჩილაძის მიერ. ჩვენთვის (და ყოველ ეროსთვის), რასაკვირებელია, იდეალს წარმოადგენს, რომ უცხო ენიდან ნაწარმოებობს მთარგმნელი ფლობდეს დედნის ენას. ახალ ენების (გერმანულსა, ინგლისურისა, ფრანგულისა...) მიმართ ეს ხერხდება, მაგრამ ძველი ენების მიმართ ჯერჯერობით იშვიათად ხერხდება, რომ ლიტერატურული ძეგლები თარგმნის ისეთმა პოეტმა, რომელიც კარგად ფლობს ბერძნულს ან ლა-

თინურს. საჭმე უფრო ხშირად იმით მთარგმნება, რომ ჩვენი პოეტები თარგმნიან რუსულადან. ხოლო ბერძნულ ან ლათინურ ნაწარმოებს ხშირად თარგმნის ამ ენების მკოდნი, მაგრამ არა პოეტი.

ჩვენს შემთხვევაში საქმე ასე გაუაწყდა: არსებული რუსული თარგმანების მიხედვით, ოიდიპოსი მეფე თარგმნა დ. გაჩეჩილაძემ, რომელიც ჩვენში ცნობილია როგორც ქართული ლექსის ასტეტი და მაჩაბლისეული თოთხმეტმარცვლოვანს გამოყენებით წარმოგიდგინა სასიამოვნოდ მედერი, კარგი ქართული გამოთქმებით მდიდარი და ტრაგიკული გუნება-განწყობის შემქმნელი ლექსი. ჩვენი როლი იმაში გამოიხატა, რომ დ. გაჩეჩილაძის თარგმანის რედაქციის დროს წინ გვდგო „ოიდიპოსი მეფის“ ბერძნული ტექსტი და თუ სადმე შევამჩნივდით სოფოკლეს აზრიდან რაიმე დაშორებას, ესწორებდით.

დ. გაჩეჩილაძე ბრძალ არ მოსდევდა სოფოკლეს ტექსტს. ზოგჯერ ქართული შეგვრძნების შეფარდებით მას გადაადგილებულა აქვს ბერძნულ პერიოდთა ნაწილები. ზოგჯერ კიდევ ბერძნულში ხშირად ხმარებული და იმ ეპოქის მასურებლისათვის შესაფერი „ეპი. ვაი“. ან მსგავსა შესახებები ქართული ენისათვის და ჩვენი ეპოქისათვის შესაფერი გამოთქმით არის შენაცვლებული, ასე რომ, დ. გაჩეჩილაძის თარგმანი დედნის აბსოლუტურ დამთხვევას არ ამკლავებს. მაგრამ ამ თარგმანში, ჩვენი შეგვრძნებით. გადმოცემულია ეპოქის სული და ჩვენს თეატრში ამ ტრაგედიის დადგმის წარმატება იპოვაც არ ხსნება, რომ სრულიად არ იგრძნობა. რომ „ოიდიპოსი მეფის“ ქართული ტექსტი თარგმანია: — ყლგის როგორც თრგინალი.

ს ი მ ნ ყ ა უ ხ ი მ ე ი ლ ი

ՄՈՐՈՅՄԼ ԺՅՅՁ



მოქმედი პირები

ოიდიპოსი — თებელთა მეფე

იოკასტე — მისი ცოლი, პეი

ანტიგონე — } მათი უწლოვანი ასულნი
ისმენე — }

კრეონი — დიდებული, იოკასტეს ძმა

ტირესია — ბრმა მოხუცი, მისანი

კორინთელი მოამბე

ლაიოხის მწყემსი

იოკასტეს მხევალნი

ხორა — თებელი უხუცესნი

ჭურუშნი, ყრმანი და ჭაბუკნი; მოახლე ქალები;

ოიდიპოსის ამაღა

მოქმედება წარმოებს თებელ მეფეთა სასახლის წინ.

მთავარი შესავალი კარის ორსავე მხარეს აღმართულია საკუთხეველები და მფარველ ღმერთთა გამოსახულებანი: ზევსი, აპოლონი, ათენა პალადა და ჰერმესი.

მარჯვნივ, ქალაქისაკენ ვშვება გზა, საიდანაც მოისმის მავედრებელთა ნაღვლიანი გალობა.

სასოშიზდილთა გმინვა-უება თანდათან ახლოვდება და სცენაზე შემოდის თებეს მოქალაქენი. ყოველ მათგანს ხელში ზეთისხილის რტო უჭირავს...

უფროსი ჭურუმის უსიტყვო ბრძანებით საკუთხეველებს ირგვლივ შემოერთყმის და რტოებს საფეხურებზე დააწყობენ.

ამ დროს სასახლიდან გამოდის ოიდიპოს მეფე, თვალს გადაავლებს საკუთხეველებთან შემოკრებილთ და ღრმა თანაგრძნობით ხალხს მიმართავს.

ო ი დ ი პ ო ს ი — ჰე, ხალხნო, ძველი მამათაფრის კადმოსის
შვილნო!

რას დამზობილხართ სალოცავი რტოებით ხელში.
ან იქ მთელ ქალაქს რატომ ნისლავს გუნდრუკის კვამლი?
ყოველი მხრიდან მესმის გმინვა და ღიღიღისი...
არა სხვათაგან მსუქოს მეუწყოს, აზამედ თქვენგან
და ამისათვის, შეილნო ჩემნო თვათონ გამოველ
თიღიღისი, თქვენგან ასე გახდილებული.
შენ თქვი, მოხუცო, მათ მაგიერ სიტყვა შეგფერის:
ჩემი სახლას წინ რად მოსულხართ? მარქვი მიზეზი: —
მიშა შეგყარათ თუ ძიებამ სასიებას?
განა გულქვა ვარ, თქვენი თხოვნა არ შეუწყნარო!

ქ უ რ ე მ ი — ჰე, თიღიღის, შეუფეო ჩემას მამულის!
თვითონ შენც ხედავ ხალხი შენს წინ ვით დამზობილა...
ჰა, ჩვილნი ყრმანი, გერ მართვენი ფრთაჟსხელნი...
აგერ ქაბუკნი ათასებში ვაჟორჩეულნი...
აგერ მოხუცნიც ეამთა ტვირთქვეშ წელში მოხრილნი.
მე, როგორც მე, უზენაეს ზეცის მსახური, —
ხოლო იქ სხვანი, ზეთისხილის რტოებით ხელში,
ათენას ორსავე საკუთხოველს გარს შემორტყნიან,
ზოგნიც ისმენეს სამკითხაო ნაუკას ჩასცქერენ.

რისთვის მოვსულვართ? იღუპება ქალაქი. შეფეო!
სისხლის შორევი ჩაძირული იზოჩობა ხალხი...
თესლშივე ღებდა მოსავალი. ბალახიც ხმება,
წყლებიან ჯოგნო უდღეო შვილთ შობენ დედანი...
ღმერთმა რისხვისა ხალხს შეჰყარა ჭირი საზარი.
ცარიელდება ძველი სახლი კადმოსთანა,
რას მკვდართა სულებს ვერცა იტევს პადესი ბნელი.

განა იმიტომ მოგამურეთ, რომ ღვთის სწორი ხარ...
მაგრამ, შეფეო, კაცთა შორის შენ ხარ პირველი,
ვისაც შეწევნა უნდა ვთხოვით ავბედაობისა,
ღვთის მრისხანების თუ საწუთროს სიმუხთილის ეამსა.
შენ ის კაცი ხარ, ვანცა მოხველ და ამოხსენი

181.031
კ 81.031

შავი ურჩხულის ამოცანა მნელმისაგედრი,
რითაც ჩვენ მისი მონობისგან გვათავისუფლე...
მაშინ, მეფეო, შენ არავინ არ შეგწევნია,
სძლიე ურჩხული მარტოოდენ ღვთის შთაგონებით.
ეხლაც გვიშველე, თიღიღის, შეფეო ძლიერო!
ან უკვდავ ღმერთებს შეეკითხე, ან მოგვდავს ბრძენსა...
გამოცდიოთ ვიცე, ზოგჯერ სიტყვა ჭირანხულ კაცთა
განსაცდელიდან გამოსავალ გზას გაპოვნინებს.

მეფეო, სიბრძნით და სიძველით სწორობთვარო!
რეტენ ქალაქი, იხსენ შენი სახელ-დიდება...
აბა დაფიქრდი, თვის გამოთხსნელს გიწოდებს ხალხი,
და იგივე ხალხი თუ შენს თვალწინ დაიღუპება,
შენი სახელიც წარმშლება სამართლისოდ.
გთხოვ: აღადგინე ეს ქალაქი იავარქმნალო...
დე როგორც მაშინ, შენი დიდი სიბრძნის წყალობით,
კვლავ დაგვიბრუნე დაკარგული ბედნიერება...
სჯობს უდაბნოში ხელმწიფებას ხალხზე იმეფო;
რად გონდა ცოხე, ან ზომალდ- უკაცრიელი?

ო ი დ ი პ ო ს ი — ო, საყვარელნო, შეილნო ჩემნო, რაჩივ
მებრალვით!

მესმის აქ რატომ შეკრებილხართ, ან რას მავედრით...
ვხედავ, თუ როგორ იტანჯებით, მაგრამ ვერწმუნეთ,
რომ ტანჯავს თქვენსას ჩემი ტანჯვა აღმატება...
თვითთულ თქვენგანს მხოლოდ თვისი აქვს საწუხარი,
ხოლო მე ვწუხვარ თქვენთვის, ჩემთვის, ამ ქალაქისთვის...
არ ვსაჭიროებ ვადვიძებას... მე როდღი მძინავს...
თვალს ცხარე ცრემლი არ ასვენებს, გულს მწუხარება...
გონების თვალთ მოვიხილე მოსახილველო
და ბოლოს ერთი მივიჩნიე ვხად თქვენი ხსენისა...
ჩემი ცოლისძმა, თე-თონ კრეონ მენეოკის ძე,
ფებოსის ტაძრად სამისნოში უკვე წარგზავნე,
რათა ღმერთს ჰკითხოთ, რა ვიღონო თქვენდა სამეფლად.
აქამდეც უნდა მოსულიყო. მას კი გერ ვხედავ.
წუთს წუთზე ვითვლი... და როს იგი პასუხით მოვა,
✓ წყველიმც ვიყო, თუ ღვთის ნება არ აღვასრულო.

ქუ რ უ მ ი — კარგ ღირთს ახსენე. აგერ ისიც გვიანდღეღება...

(ოიდიოსი სწრაფად იქით შებრუნდება, საითაც ხალხი გასცქერის. მისი ნაღვლიანი განწყობილება თანდათან ქრება).

ო ი დ ი პ ო ს ი — ღმერთო ძლოერო! თუ ამბავიც მოაქვს კეთილი როგორც კეთილად იმას სახე გაბრწყინდება...

ქუ რ უ მ ი — ღატყობა მოდის კარგი ამბით, ერთი შეხედეთ: ცუდის მოაშზე დაფნით თავს არ დაიმშვენებდა.

ო ი დ ი პ ო ს ი — ფხლავ გაფიგებთ, მოახლოვდა... ბატონო ჩემო! უსაყვარლესო ცოლისძეგო, მენეიკის ძეგ! დღეთსგან რა სიტყვა მოიტანე?

კ რ ე ო ნ ი — საბედნიერო...

როგორც შე ვფიქრობ, ყოველივე თუ შესრულდება, ეს ფაქსაცდელი, ჩანს, ყოფილა საბედნიერო...

ო ი დ ი პ ო ს ი — (მოუთმენლად)

ღმერთი რას ბრძანებს? ყველაფერი გარკვევით გვითხარ, ჯერ კი არ მესმის, შიში გვქონდეს თუ სასოება?

კ რ ე ო ნ ი — (ორპოფად) იქნებ სჯობთა სასახლეში განცალკევება...

— აქ ხომ არ გეტყვი?

ო ი დ ი პ ო ს ი — (მტკიცედ) აქვე მითხარ! ხალხის წინაშე.

ესლა ამათზე უფრო ვწუხვარ, ვიდრე ჩემს თავზე...

კ რ ე ო ნ ი — მაშ მოგახსენებთ... ყოვლისშემძლე აბოლო ბრძანებს,

რომ ბოროტება, ჩვენს მიწაში ფესვებგადგმული, აღმოვფხვრათ, ვიდრე უკუჩრებელ სენად იქცევა... და განვიწმინდოთ...

ო ი დ ი პ ო ს ი — განვიწმინდოთ?... მაგრამ სად არის ეგ ბოროტება, ანდა მისგან ვით განვიწმინდოთ?

კ რ ე ო ნ ი — უნდა განვლევნოთ ვინმე მკვლელო, ვითოა... შური...

ლუპავს ქალაქსა მისი ხელით დაღვრილი სისხლი.

ო ი დ ი პ ო ს ი — საჩხლი? რომელი? ვის გვანიშნებს მოკლულად ღმერთი?

კ რ ე ო ნ ი — მეფეო, ვიდრე ჩვენს მბრძანებლად შენ მოხვიდლიდი,

აქ მეფედ გვყავდა ლაიოსი...

ო ი დ ი პ ო ს ი —

გამიგონია...

მაგრამ ნახვით კი არ მინახავს...

კ რ ე ო ნ ი —

იღუმლად მოჰკლეს...

აწ ღმერთი ბრძანებს, მოვაკვდინოთ ან განვაძევოთ ბოროტი მკვლელო...

ო ი დ ი პ ო ს ი —

ეს, ვინ იცის სად გადიკარგენ?

ვინლა იბოვოს კვალი ძველი აგაკობისა?

კ რ ე ო ნ ი — ღმერთმა თქვა: — (პპოვებით თუ ეძიებთ, თქვენს შორის პპოვებით,

დაუდევრობის ჩრდილში არის შემალულიო.

ო ი დ ი პ ო ს ი — და მერე იგი სად მოუცლავთ, სახლში თუ გარეთ,

ჩვენსაგ თუ უცხო ქვეყანაში?

კ რ ე ო ნ ი —

როგორც თვით უთქვამს,

თურმე დელფოში სამკითხაოდ გამგზავრებულა,

აქეთობას კი იგი თვალთ არვის უნახავს.

ო ი დ ი პ ო ს ი — ნუთუ ხელმწიფის მსლმებელთაგან არცინ ვადარჩა?

იქნებ შეგვეტყო სინამდვილე.

კ რ ე ო ნ ი —

არა, მეფეო,

ყველა დახოცეს, ერთის გარდა, მაგრამ იმ ერთსაც

შიშით ლტოლვილსა ვერაფერი ვერ უნახია.

მხოლოდ ლუღლუღით აღმოუთქვამს...

ო ი დ ი პ ო ს ი —

რა აღმოუთქვამს?

ზოგჯერ წვრილმანიც ფარდას ახდის იღუმალბას,

თუ ამ წვრილმანში სინამდვილს ნატამალია.

კ რ ე ო ნ ი — აღმოუთქვამს, რომ მკვლელო მეფე ლაიოსისა ქერთი კი არა, ავაზაკთა მთელი ბრბოაო.

ო ი დ ი პ ო ს ი — თუ არ ცდუნება მომსყიდველის ოქრო-ვერცხლითა

ვევგობ, ეს საქმე ავაზაკთაც რომ გაეხდათ.

კ რ ე ო ნ ი — ჩვენც ეგ ვიფიქრეთ, მაგრამ ყველას თავგზა აგვებნა,

არცვინ გამოჩნდა ლაიოსის სისხლი აელო.

ო.ი.დ.ი.პ.ო.ს.ი — (წყრომით)

გვეც მანქანებს. როგორ, მოჰკლეს თქვენი ხელმწიფე და თქვენ უფლებელი დაიკრიფეთ, არც მოიძიეთ? კრეონი — ვერაფერა სთინქსმა თავს დატეხილ უბედურებით იძულებულგვყო მკვლელის ძებნა დაგვეწყობოდა.

ო.ი.დ.ი.პ.ო.ს.ი — ჩემი ვალა ბოროტების ვპოვო სათავე, აღმოვაჩინო მკვლელნი მეფე ლაიოსისა... გმადლობ, აბოლო, დიდო ღმერთო! გმადლობ შენც, კრეონ,

რომ უწყით მკვლარს ღირსეულად გამოესაჩივრეთ... თქვენს სამართლიან მოკავშირედ მიგულვით მეცა, — მინდა ღეთისა და სამშობლოსთვის ვიძიო შური.

რომ მოსწრადე ივარ ამ სიბილწის ლაქა წარგზოცო, ჩემს თავზეც ეფიქრობ... ლაიოსი ვინც მოაკვდინა, ხომ შესაძლოა მან ჩემზედაც აღმართეს ხელი? ლაიოსისთვის შურისგებით ჩენს თავსაც ვიცავ... წარვედით, შვილნო! აწ დატოვეთ ეს საფესურნი და სალოცავი წმინდა რტონიც წართლეთ თანა. ამცნეთ, რომ ესლავ აქ შემოვრბენ კადმოსიანნა...

მზად ვარ ყოველი აღეპარულთა და ღეთის შეწყვენით აწ ბედნიერ გყოფო, ანდა თქვენთან დავიდუბები.

(ოიდიპოსი თავს აღერისიანად დახრის, ხალხს ეთხოვება. ხალხიც მოწიწებით გასცქერის სისახლისკენ მიმავალ მეფეს).

ქუ რუმი — წარვედით, შვილნო, ჩვენ აქ მოსთვის შევიკრიბენით.

რათა გაგვეგო, რაც ხელმწიფემ, თვით განგვიცხადა.

დიდო, აბოლო, წმინდა სიტყვის წარმოამგზავნელო.

გთსოვთ შეგებრალი და აღვაგო კირი საზარი.

(ყველანი საფეხურებზე დიქობილ რტოებს აიღებენ და უფროს ქორუმს უკან გაჰყვებიან. სცენა ურთხანს ცარიელია. შემდეგ ნელი ნაბიჯით ურთხანის შემოჰყვება თხუთმეტი უხუცესი — ხორო — თებეს დიდებულნი და ოიდიპოსის მრჩეველნი)

ხორო — ჰოი, შენ ღმერთო. ამოდ მეტყველო!

ოქროდ ელვარე დელფოს მღერმიდან

დღეს რა აუწყე დიდებულ თებეს?

შეშფოთებულნი ვთრათთ და გკანკალებთ...

შენ გეკითხებით, დელოსის ღმერთო, — რას ითხოვ ჩვენგან, ლოცვებს ახალსა თუ ძველი წესით მომსახურებას? დე მვესალბუნე, უკვდავთა სიტყვავ, ძეო უწყინდეს სასოებისა...

ყველაზე პირველ შენ გვემდრებით, ჰოი, ათენავ. ზეცის ასულო! შენც, ჭრტმიდევ, ქვეყნის მფარველო, დარბაზობისას ზეამაღლებულ და გაბრწყინებულ ტახტზე მჯდომელო! შენც, დიდებულთ ფეხის აბოლოვ, ისართმტყორცნელო, სწორუპოვარო! დე მოგვეშველეთ, ღმერთნო მალალო! და როგორც წინათ, ცეცხლი ვაგების თებეს ძეელ ქალაქს კვლავ განარიდეთ...

ღმერთნო! დიდო ეს განსაცდელი: სენი მზარავი უწყალოდ გველაღვს, ხოლო გონება დაჩლუნგებული განმტურგნელ წამალს გვრღა პოულობს... უმწიფრად ჰკნება ნაყოფი მიწის... ქალნი ტკივილით მშობიარობის ილუბებიან და მკვდართა სულის, ვითა ყიფავანი, მკლარცხლად მფრინავენ. მიისწრადვიან ნისლიან შორეთს, მარადი მწუხრის სამეუფოსა.

დაუტირატონი, დაუმარხანი, მიწაზე ჰყრიან საბრალო მკვდარნი და მათი ზრწნა სიკვდილის სუნთქვა... ხოლო დედანი თმაჭალარანი, თვის რძლებთან ერთად ხელაპყრობილნი, დეთის საკურთხეველებს ირგვლივ უვლიან და გულამოსკნით შეჰლაღადებენ...

ო, დიდებული ზევსო ასულო,
მფარველად ექმენ უმწეო ხალხსა.

დე მძევნარების ღმერთი არესო,
რომელსაც ჩვენზე, ნაცვლად მახვილის,
დღეს მოუპართავს ჭირი მმუსურელი
და მზარავი ხმით დაგვიძახის თავსა,
ამა ქვეყნიდან შორს გარდახვეწე.
ან ამფიტრიტეს ვრცელ სამყოფელში,
ანუ თრაკიის ნაპირს კლდოვანსა...
თორემ, ვინც ღამეს შეპზრალეზია,
იმას დღე გვტაცებს შავლრუბლიანი...
ზევსო, მპყრობელო ელვა-ქექისა,
დაე განმეზე მკაცრი არესო.

შენც, ლიკიელო ღმერთო მაღალო!
დაე მოზიდე მშვილდი ოქროსი
და სტყორცნე არესს მკვეთრი ისარი...
შენც, არტემიდევ, ხელში ფინქლილით
ლიკიის მთებზე ლაღად მფრინავო,
უწმინდეს შუქით დააფრთხე იგი...
შენცა, ბახუსო, სახელაუღაუავ!
თავზე რომ ვახურაფს ნიტრა ოქროსი,
მენადთა გუნდით გარს შემოიტყუელო,
ცეცხლი შეუთთე. დასწვი, დადაგე
ზენაართ შორს უღირსი ღმერთი.

ო. დ. ბ. — (შემოდის)

ილოცეთ, შვილო! თქვენს ვედრებას ისმენენ ღმერთნი...
შეებას მოგფენენ და ტყეილი დაგაჰმდებთ,
ჩემს ბრძანებასაც მორჩილებით თუ აღასრულებთ...
ამას მოითხოვს სამხნელი ეს ეთარებაც.
რაც აქ მოვედო არცთუ ისე დიდი ხანია...
ჩემთვის ეს საქმეც უცხო არის და ეს ამბავიც,
და, რა თქმა უნდა, მკვლელის პოვნა გამძნელდება.

ოდეს არა ჩანს არსად კვალი არავითარი.

ჰოდა, ამიტომ მწედ მექმნით, კადმოსის შვილნი!
თუ ვინმე უწყის მკვლელი მეფე ლაიოსისა,
ვურჩევ გულახდით განაცხადოს ჩემს წინ ყოველი.
თუნდაც თვით იყოს მეფის მკვლელი, ხელსაც არ
ვახლებ,

მხოლოდ ქვეყნიდან გაძევებას დაგდებ სასჯელად.
თუ მკვლელი არის სხვა ქვეყნიდან, უცხო ტომისა,
ესეც მაუწყეთ, — მთქმელს მივზღოს ჯილდო მეფური
და არასოდეს არ მოაკლდეს ჩემი წყალობა.
ხოლო თუ ვინმე ჩემს ბრძანებას არ აღასრულებს
ან მეგობრისა ან თავისი დაღუპვის შიშით,
კადმოსის შვილნი, მოისმინეთ ეს განჩინება:
✓ ვინც უნდა იყოს იგი მკვლელი ჩემს სამეფოში,
✓ არცა განტეხოთ მასთან პურა, არცა ხმა გასცეთ,
არცა აღირსოთ განსაბანად წყალი ნაკურთხი,
მსხვერპლის შეწირვის თუ ლოცვის დროს შორს
განირიდეთ,

- ✓ ყველგან დაეხშოს სახლის კარი, ვით კეთილგანსა
- ✓ და მიზეზს ჩვენი სამხნელი უბედურების.
- ✓ ამრიგად მწადის ვიყო ღმერთის თანამდგომელი
- ✓ და ლაიოსის სიკვდილისთვის ვიძიო შური.
- ✓ თვითონ განსაჯეთ, რომც არ იყოს ღმერთის ბრძანება,
- ✓ განა შეგფერით შეაჩინოთ მკვლელს სისხლი მეფის,
- ✓ ეგზომ კეთილის და საქვეყნოდ სახელმორტყმელის?
- ✓ დღეს მისი კვერთხიც მე მიპყრია, მისი ქვეყანაც.
- ✓ მისი მეუღლის სარეცელიც გავიზიარე
- ✓ და ჩვენ შვილებიც ხომ საერთო გვეყოლებოდა.
- ✓ რომ უძეობით უბედური არ ყოფილიყო...

რაკი ყურის ჩამწედა, რა საზარლად მოუკლავთ იგი,
✓ მასზე ვიზრუნებ, როგორც ჩემთვის ძვირფას მამაზე,
✓ ყოველს ვილონებ, ვბოვო მკვლელი ლაიოსისა,
✓ ავიღო სისხლი, ლაბრაკოსის, პოლიდოროსის,
კადმოსისა და პაპის პაპა აგენორისა.

მაშ მომეხმარეთ, შვილო ჩემო, და ეს ანგებს
მადალ ღმერთებსაც, თქვენს მეფესაც, თქვენს ჭეშყანასაც,
მძვინვარე სენით და სიბერწით თავარქმნისა.

ჰოი, ღმერთებო! ვინც ეუფროს ჩემსა ბრძანებას,
✓ მას მაწა ექმნეს უმოსაელო, ცოლი უძეო...
ხოლო მათ, ვინცა აღმსარულთნ გულისწადილა,
დაე ფარვიდეს ზენაართა მართლმსაჯულდება.
ბოლოს ერთს ვიტყვი, თუ ჩემს სახლში იმალვის
მკვლელო,

✓ (ღე მის თანაბრად წყველ ეყოფა უკუნისაღდე.
(ხანგრძლივი პაუზა. უხუცესნი ხმადაბლა თაბორობენ, რის შემ-
დეგაც პირველი უხუცესი თიბოსს მიმართავს).
პირველი უხუცესი — ეგ შენი წყველა უფნებელ არს
ჩვენზე, მეფეო!
არცა მოგვიკლავს, არცა გუწყით ვინ არის მკვლელო.
სჯობდა აბოლოს სიტყვა ეგე ძნელმისახვედრი
თვით ამოვსენა...

თიბოსი — მაგრამ მოკვდავთ არ შესწევთ ძალი,
უკვდავთ სიმაართლე გამოსტაცონ, თუ მათ არ ნებაეთ.
ხორო — კიდევ შეთრეს მოგასხენებ... მე როგორც ვფაქრობ...
თიბოსი — იყოს მესამეც, არაფერი არ დამიმალოთ.
ხორო — შეფევ, შენც იცნობ ტირესიას, ჩვენს მოხუც
მისანს, —

იგი ბრძენია, ვით აბოლო გულთამხილველი.
დაე მას გკითხოთ და ყველაფერს უცდომლად გვეტყვის.
თიბოსი — არც ეგ გამოპირა, მისი ქება კრეონმაც
მოთხრა...

ორჯერ შიკრიკი გაგუზახენე, მაგრამ არ მოდის...
საკვირველია...
ხორო — ეხ, აქ მაშინ რას არ ამბობდნენ...
თიბოსი — ჰო, რას ამბობდნენ? ძვირფასია ყოველი
სიტყვა.

ხორო — ამბობდნენ, თითქოს ლაიოსი მგზავრებს მოეკლათ...
თიბოსი — ეგ მეც მსმენია, მაგრამ მოწმე არავინ გაჩნდა.
ხორო — ოდეს შეესმის შენი რისხვა, ესდენ საზარი,
თავს ვერ დამალავს, თუკი ოდნავ შიში სჩვევია.

თიბოსი — ვინაც კაცსა ჰკლავს, კაცის სიტყვაც ვერ
შეაშინებს.

ხორო — ჰა, იგი მოჰყავთ, კაცი ღეთისა, ნათელმხილველი,
ვინც მართალ სიტყვით ბნელს განაბნევს და მკვლელს
ამხილავს,
ვის გულშიც ცხოვრობს მხოლოდ ერთი ქეშმარიტება.

(სცენაზე ნელი ნაბიჯით შემოდის ბრმა ტირესია. იგი ღრმა მო-
ხუცია. ერთ ხელში ყავარჯენი აქვს, ხოლო მეორე ხელით მოსჭიდ-
ვია ზავშეს, რომელიც წინ მოუძღვება. საგრძნობია, რომ ტირესიას
აქ მოსვლა არ უნდოდა... ზოგჯერ შედგება, ფიქრობს: ხომ არ
აჯობებს უკან გაგბრუნდო... თიბოსი ტირესიას დიდი პატივით
შეეგებება).

თიბოსი — ბრძენო მოხუცო, გრძნეულებით ყოვლის
შემცნობო!

აღმოჩენილველი ცის და მიწის იღუშალების,
თუმი თვალთ ბრმა ხარ, ძულოთ ვანსტყურებ
მოუწვედომელსაც.

შენც კარგად უწყი, კადმოსელებს რა ჭირიც მუსრავს,
მაგრამ არ უწყი, ჰე, მოხუცო, რომ შენ ხარ ერთი,
ამ განსაცდელში განწირულთა მსახიობელი.
ალბათ შენც გითხრეს ზენააჩი ღმერთის ბრძანება:
როს ლაიოსის მკვლელს შეიპყრობთ და მოაკვდიანებთ,
ან განაძეგებთ, მხოლოდ მაშინ გეშველებათო. —
იქნებ ფრინველზე მკითხაობით ან სხვა მისნობით
შეიცნო მკვლელონი? ციადვთაგან რომ განვიწმინდოთ
და ამით ახსნა შენი თავიც, სალხიც და შეფეც.
არ, არის რა ამა ქვეყნად უფრო მაღალი,
ვიდრე შეწევნა მოყვასისა. თუ ამას შესძლებ...)

ტირესია — (ნაღლიანად, თავისთვის)
ჰოი სიმაართლე! შენ ტვირთი ხარ ამოვების,
მოქმედლისთვის მუდამ საზარალო... მე ეს ვიცოდი
და მაინც შევეცდი. თორემ შენთან არ მოვიდოდი.
თიბოსი — ამას რად ამბობ, ან რადა ხარ ევრე
მკმუნვარე?

ტირესია — გირჩევ გამიშვა... რომ ვატაროთ უფრო
მსუბუქად

მე ჩემი სიბრძნე, შენ კი — შენი უბედურება.

ოიდიპოსი — ურიგოდ მსჯელობ. შენც ამ ქვეყნის შვილი
ხარ ფიგონებ...

შვილი კი მშობელს კეთილ სატყვას არ დაამადლის.
სიძარტლე იცი და გვიმალავ?

ტირესია — შენ ეგრე ფიქრობ?

მაგრამ შენ ამით რახლოვებ თავის დაღუპვას...

და რომ მეც თავი არ წაგაგო...

(წასვლას დააპირებს. უხუცესი ტირესიას წინ დაუჩოქებენ,
გვედრებიან).

ხორა — გაფიცებით ღმერთებს!

აჰ, მუხლს ვიყრით შენს წინაშე, ყოვლის მცოდნეო!

გთხოვთ. გაგვიმელანე.

ტირესია — არასოდეს... თქვენ ყველა სცდებით...

ჩემი გულს ცეცხლს რომ გზა მივცე, ზომ გადიბუგეთ?

ოიდიპოსი — რაო? იცი და არ გვიმელანებ?... იქნებ
გგალატობ...

იქნებ შენ გინდა ეს ქალაქი მთლად აღიგავოს?!

ტირესია — კრინტსაც არ დავძრავ, რომ სიძარტლემ არც
მე დამღუპოს

და არც შენა გყოს უბედური...

ოიდიპოსი — (განრისხებული)

— ბოროტო კაცო,

შენი სიკერბე გულს კი არა, ქვას ალაზღოთუბს...

მაშ არას მეტყვი?

ტირესია — (მშვიდად) რად მაყვდერი, რომ განგარისხე?

ოდეს ღვთის რისხვა თვით შენა. შენ კი ვერ ხედავ...

ოიდიპოსი — განა ვინ არის მისმა ქცევამ არ განარისხოს,

ვინც თავის ქალაქს უმადურად ზურგი აქცია?

ტირესია — (ღრმად ჩაფიქვებული)

სჯობია ვდუმდე... ხელმწიფეო, დარეკაეს ეამი

და თავისთავად გამეყვანებოდა ეს საიდუმლო.

ოიდიპოსი — ჰოდა, ეგ შითხარ, თავისთავად რა

გამეყვანებო?

ტირესია — შეტს არას ვეტყვი. შენ კი, მეფე, თუ ასე
გნებავს,

დაე გაცეცხლდი, ცოფი ჰყარე და იმძვინვარე...

ოიდიპოსი — მძვინვარების ეამს შეტ სიძარტლეს
აღმოთქვამს გული...

ბარში მოგახლო, რასაც ვფიქრობ... გვონებ, მოხუცო,

თვითონ ამ საქმის ხარ მოთავეც და მონაწილეც,

თვითონ შენა ხარ იმ ავაზაკთ თანამზრახველი...

მხოლოდ ესაა, არ მოგოცლავს საკუთარ ხელით.

და რომ არ იყო მთლად მიზარწილი, ბრმა, უსინათლო,

მაშინ ფიტყოდო, რომ ხელმწიფე შენ ერთამ მოჰკალ...

ტირესია — (წასვლას აპირებს, მაგრამ უცებ შემობრუნდება. მრის-
ხანედ)

ეგრეა განა? მაშ გიბრძანებ, გაგეშორდი, მეფე!

ეხლავ დაგეტოვე, რომ შენს თავზე აღსრულდეს მსჯავრი.

ბოროტ მკვლელთათვის შენ მიერვე განიინებულო...

რადგან ამ მიწის წამბილწველი შენა ხარ თვითონ!

ოიდიპოსი — რა თქვი, ბებურო? უსირცხვილოდ რა ცილსა
მწამებ?

იქნებ გგონია ვადალრჩე ჩემს შრისხანებას?...

ტირესია — უკვე გადუღური, სიძარტლეა ჩემი ჯავშანი.

ოიდიპოსი — თქვი, ეს ვინ გითხრა? რა თქმა უნდა, სხვამ
ჩაგაგონა...

ტირესია — შენ ჩამაგონე... მათქმეინე ჩემ უნებურად.

ოიდიპოსი — რა გათქმევინე? თქვი მეორედ... კარგად ვერ
მივხვდი...

ტირესია — განა ვერ მიხვდი? მაგრამ გინდა სხვაც
მათქმეინო.

ოიდიპოსი — თითქოს ქარაგმით ლაბარაკობ. თქვი
უფრო ნათლად!

ტირესია — შენ რომ ეძიებ, იგი მკვლელი შენა ხარ
თვითონ...

ოიდიპოსი — გესმის, ბებურო, ორგზის ჩემი
შეურაცხყოფით

სასჯელსაც ორმაგს იმსახურებ...

ტორესია —

გინდა სხვაც გითხრა?

რომ ბარემ ცეცხლი შეეფუტეთ შენს მძევანებას?

ოიდიპოსი — დამე იყბედე, რა ფასი აქვს შენს აბღაუბდას...

ტორესია — ო, რა საზარელ კავშირით ხარ შეერთებული

სწორედ იმასთან, ვისაც შენგან ხამს თავყვანება.

ოიდიპოსი — არა, ამ ჩიტყვებს ვერ შეგარჩენ...

ტორესია — თუ მძრთაღს ვამბობ?

ოიდიპოსი — შენში სიძარბოვლ აღარ არის... რადგან შენ
ბრმა ხარ.

ცხადია, ქვედა დაგიბნელდა, სმენაც დაგეხშო...

ტორესია — დამაბნელოვრე, როგორც ესლა შენ მე დამხატე,

სულ მალე სცნობენ, რომ შენა ხარ სწორედ ასეთი...

ოიდიპოსი — როგორ დავსაჯო თვალბილულმან, შეილმან
მზისამან,

იგი, ვინც მარად უცუნეთში დაეხეტება.

ტორესია — არც მიწურია შენგან მოგვკდე და თუ გაბედავ.

ჩემი მოკვლისთვის თვით აბოლო იძიებს შურსა.

ოიდიპოსი — თქვი, ვინ მოჩმახა ეგ სიცრუე, შენ თუ

კრეონმა?

ტორესია — არც მე, არც იმან. შენი თავის თვითონ ხარ

მტერი...

ოიდიპოსი — ჰოი, გვირგვინო! სიმდიდრეო!

სახელ-დიდება!

ცრუ და მშფოთვარე საწუთროში ყველაზე ტყბილნო...

თურმე უწმინდეს კაცის გულშიც გველს ასაზრდოებთ.

მე ეს გვირგვინი განა გთხოვეთ, თქვენ გადმოშეცით

და პა, კრეონი, მეგობარო ჩემი ერთგული,

მზაკვრობით ლამობს, რომ წარმტაცოს მე ხელმწიფება...

ცხადია, იმან ჩაგონა, ეს გაიძვერაც!

ჭორების მთხვევლი, მატყუარა, ვერცხლისმოყვარე,

რომელიც თავის გაამარჯელოს წინასწარ ხედავს,

ხოლო ვერ ხედავს და ვერც ახსნის, რაც ევალდება...

აბა, ბებერო, თქვი, სად წახტეს შენი მისნობა?

განა შენ იხსენ ხალხი ფრთოსან ურჩხულისაგან,

როს იგი ქალაქს თავზარს სცემდა აღგვის მუქარით,

თუ მის იღუმალ ამოცანას ვერ ამოხსნიდნენ?

მაშინ სჭირადა ხალხს მისანი, ბრძენი, გულადო,

მაგრამ, ბებერო, არც ღმერთებმა, არც ფრინველებმა

არა გითხრეს რა, და პა მოგველ თიღიბოსი,

ამა საქმისა უმეცარო და ჩემი სიბრძნით,

ისე, რომ არვინ შემწევნია, ვალოე ურჩხული.

ვიცი, გწადია მე დამამხო და მით ეღიწოსო

კრეონის ტახტთან ახლოს დადგე, ვით დიდებული...

გირჩევ, მიფრთხილდით, შენც და შენი ჩამგონებელიც.

პე, რომ არ იყო უსინათლო, ბერი, მიხრწნილი,

შენს ზურგზე სცნობდი, რა ფასიც აქვს ამ თქვენს

განზრახვას.

პირველი უხუცესი — ჩვენო ხელმწიფე, შენი

სიტყვაც, მისი პასუხიც

მხოლოდ წუთიერ გულისწყრომით შთაგონებულა...

რა ღაღას ეგ არის... გთხოვთ დამშვიდდეთ, ესლა ჩვენ

გეგმარებებს.

როგორმე უკეთ შევასრულოთ ღმერთის ბრძანება.

ტორესია — თუმც შენ ხარ მეფე, ჩვენ სიტყვაში ვართ

თანასწორნი

და უფლება მაქვს, შენს წინაშე ჰმა ავიმალლო.

არა, მე შენი მონა არ ვარ, მე ღმერთს ვმსახურებ.

კრეონის ყმობაც მგონა მისან არ ეკადრება.

წელან დამცინე, შენ ბრმა ხარო, მაგრამ, მეფეო,

შენ თვალბილული, რად გვირ ხედავ, ვინ ხარ, სადა ხარ

ან ვისთან ცხოვრობ, ან ვინ არის მშობელი შენა?

ნუთუ ვერ ხვდები, რომ ხარ მტერი შენიც სისხლისა,

აქ თუ პაღესში. უახლოეს ნათესავთ მტერი?

ღარკავს ეამი და დედ-მამის წარწყმედილობის,

საშინელ წყევლით მოგეჭრება შენ ბედისწერა,

წყვდიადის კუპრით ამოავსებს შენს თვალთა გუგას

და შორსა მხარეს წარგიტაცებს, ვით ქარიშხალი.

ო, არ იქნება კითხრონზე არცა მინდობი,

არცა ხეობა, არცა მღვიმე თავშესაფარი,

შენმა გოდებამ, გმინვამ რომ არ შეაზანზაროს, —

ოღეს გაიგებ ბედუჭულმართ შენს ქორწინებას...
 ოღეს გაიგებ, შენს ნაფს საით მოაქანებდა
 მღელღარ ზღვის ქარი და საღ ჰბოვე ნაფსაყუდელი.
 ოღეს გაიგებ ამბავს კიდევ უფრო შემზარაველს,
 რომ შეილი მამის რაყიფა, ძმა თავის შვილთა,
 ხოლო დედისა... სხვას შენ მიხვდი, მე დავდუმდები...
 ეხლა თუ ვნებავს, დაე გვლანძღე მეც და ჯრუონიც.
 ოღონდ გახსოვდეს, შენ რომ გელის, იმ სატანჯველით
 ჯერ ქვეყანაზე სულს ხორცს არ გასცილებია...

ო ი დ ი ბ ო ს ი — (გაშმაგებით)

წადი, გაშმოვდი, თვალთა ჩემთა არღა გიხილან...

ტ ი რ ე ს ი ა — თვითონ შენ მიხმე, თორემ ისე არც

ო ი დ ი ბ ო ს ი — რას ვიფიქრებდი, რომ მეტყვადი ამდენ
 სიფიქრეს...

ტ ი რ ე ს ი ა — გიყი მიწოდე, შენს მშობლებს კი ბრძენად
 მიგაჩნდი...

ო ი დ ი ბ ო ს ი — შესდექ... ეგ რა თქვი? ჩემს მშობლებსთა?
 თქვი, ვინ დამბადა?

ტ ი რ ე ს ი ა — დღეს არის შენი დაბადებაც და აღსასრულიც.

ო ი დ ი ბ ო ს ი — გარკვევით მითხარ, გამოცანებს ნუ
 მეუბნები.

ტ ი რ ე ს ი ა — გამოცანების ამოხსნა ხომ შენი საქმეა?

ო ი დ ი ბ ო ს ი — სიბრძნეს დასცინე? მე მან მომცა ტახტი,
 დიდება.

ტ ი რ ე ს ი ა — და იგი სიბრძნე იყო შენი უბედურებაც...

ო ი დ ი ბ ო ს ი — სამაგიეროდ ხალხს ვუშველე... თავზე არ
 ვწუხვარ...

ტ ი რ ე ს ი ა — ეხლა კი წავალ... უკვე დროა... (ბავშვს) გამიძებ,
 შვილო!

ო ი დ ი ბ ო ს ი — სჯობს გავეცალო. შენმა მოსვლამ ვერ
 გვახარებლა,

და შენი წასვლაც მგონი დიდად არ გვახარალებს.

ტ ი რ ე ს ი ა — მაშ კარგი, წავალ... თუმც წასვლამდე ერთს
 კიდევ გეტყვი:

თუ გასურს ხელი იგდო მეფის მკვლელი, შორს
 ნუ ეძიებ...

აქვე ბრძანდება, ამ თაღებქვეშ დაბუდებული.
 ამბობენ, თითქმის სხვა ქვეყნიდან მოსული იყოს,
 მაგრამ მალე სცნობ, რომ ყოფილა იგი თებელი...
 მკვლელს სსხარული შეეცვლება გმინვა-გოდებად,
 სიმღიარე — სასტიკ სიღარბედ, დღე — უკუნ ღამედ,
 რის თვალდათხრილი, ყაფარჯენის ბნელში ცეცებით,
 მშობელ ქვეყნიდან უგზოუკვლოდ გარდისვენება...
 კარგად დაფიქრდი, — იგი ძმის თავის შვილების,
 დედის, რომელმაც იგი შობა — შვილიც და ქმარიც,
 მამის საარეცლის მოზიარეც და მისი მკვლელიც...
 დაფიქრდი-მეთქი და ეს სიტყვა თუ გამტყუნდება,
 მაშინ მიწოდე ცრუ მისანი და უმეცარი.

ხ ო რ ო — ვინ არს იგი, უსაზარლეს ცოდვის მქნელი?
 დეღფოს კლდიდან სისხლის ორთქლში
 ვის ხელს მოჰკრა თვალი ღმერთმა?
 დროა მკვლელი მიილტვოდეს
 ფეხგრივალა რაშზე მალი,
 თორემ მისკენ ელვის ბრწყინვით,
 მუხთა გრგვინვით მოისწრაფვის
 ძე ზევსისა, რომ ახლავან
 ქალღმერთები შურისგების...

ჰა, თოვლიან პარასიდან ხმა გაისმა...
 ბრძანება, ეპოვით მკვლელი;
 ვინცა ველურ ხარის მსგავსად
 ობლად დამრწის ტყე-ღრეებში...
 რომ გაუბრის წინასწართქმას
 მშფოთვარე და ნაღვლიანი,
 მაგრამ ყველგან თავს დასაძახის
 იგი შავი ბედისწერა.

რარიგ მზარავს და მაშინებს სიტყვა მისნის!
 თუმცა ბრძენის წინასწართქმა

საჩუქრუნია, არცა მჯერა...
 არცა ძალმობს უარყოფა...
 ეჭვით დაჭრილ გულისათვის
 წამლად ვეძებ სასოებას...
 არც მსმენია, რომ ოდესმე
 ლაზდაკისის შვილის მტრობა
 პოლიბოსის შვილს ჰქონოდა.
 მაშ რას ნიშნავს მისნის სიტყვა?
 ვით წარვმართო უფრისგება?
 ანდა როგორ დავიჯერო,
 რომ დიდებულ ოიდიპოსს
 მკვლელობაში ბრალი ჰქონდეს?
 არა, არა, არასოდეს!

დიდმა ზევსმა და აბოლომ უწყის მხოლოდ
 მოკვდავთ ყოვლი ქმედობანი...
 ვერ ვიწამებ, თითქოს მისანს,
 ჩემებრ მოკვდაუს, ჩემზე მეტი
 ნათელხილვის ნიჭი ჰქონდეს...
 მხოლოდ თავის ოსტატობით
 მცირედ სჯობნის კაცი კაცსა...
 ო, არ მჯერა ჩვენს მეფეზე
 ეს ბრალდება საშინელი,
 ვიდრე სიტყვა, თვითონ საქმის
 სიმართლით არ დამტკიცდება.
 თქვენც ზოჲ ნახეთ ოიდიპოს,
 როგორც შეზგდა ურჩხულის ფრთოსანს,
 როს საქვეყნოდ მისა სიბრძნე
 და სიკეთე გამობრწყინდა;
 მან ჩვენ გვიხანა სიკვდილისგან,
 ჰოდა, ამ კაცს ეით შევწამებ
 ცოდვას, ეგზომ საშინელსა?
 არა, არა, არასოდეს!..

(შემოდის კრეონი. ოიდიპოსს რომ ვერ ნახავს, უხუცესებს შესჩივის
 აღშფოთებული. ზოგჯერ ლეღვისაგან სიტყვა უწყდება).

კრეონი — მოქალაქენო! თუჩემ მეფე ლალატსა მწამებს
 და ამ ბრალდებით გულმოკლულმა თქვენ მოგაშურეთ...
 თუ მართლა სჯერა მეფეს ჩემი მუხანათობა,
 თავს არ ვიცოცხლებ... ხალხნო, მზად ვარ ჩემივე
 სისხლით

ჩამოვირცხო ეს ბინძური ცილისწამება...
 თორემ, თუ დაფიქრი შერცხენილი, თავლაფდასხმული,
 ვითლა ვეჩვენო ხალხს, ქვეყანას, თქვენც, მეგობრებო?

ხორო — დიახ, ეგრე თქვა, მაგრამ ვგონებ, ეს ათქმევინა
 უფრო სიფიცხემ, ვიდრე კეთილგონიერებამ.

კრეონი — მაინც ეს როგორ გაიფიქრა, თითქოს იმ მოხუცს
 მე ჩავფიქრე, ტყუილები ელაპარაკანა?

ხორო — ჰო, ეგრე ბრძანა, არა კი ვიცი, რა მოსაზრებით.

კრეონი — ჩანს, კაცის ცნობა დაჰყარგვია, ან მთლად
 გაგიჟდა,

რომ პირში ენა მოებრუნდა ჩემს საგინებლად.

ხორო — ზენაართ საქმეს ჩვენ არაფერ არ გვეკითება...

ანდა რა ვიცი... აფერ, მეფე აქ მობრძანდება...

(სასახლის შუა კარებში გამოჩნდება ოიდიპოსი. კრეონს რომ დაინახავს, სწრაფად კიბეზე დაეშვება...).

ოიდიპოსი — ამის ვის გხედავ? აქ, ჩემს სახლში, რად
 შემოსულა?

ნუთუ შენ, კრეონ. ხარ იმდენად ურცხვი, თავხედი,

რომ კიდევ ბედავ დამშვდებით თვალნი მისწორო,

ოდეს დაშნობით ემუქრები ჩემს ხელმწიფებას?

გაფიცებ ღმერთებს, რამ აღვიძრა გულში ეგ ზრახვა?

იქნებ გეგონა, რომ მხალღი ფარ ან უგუნური,

იქნებ გეგონა, შენს მზავრობას ვერ მივგდებოდი,

ანდა უწყალოდ ვერ გაესარსდი ამ ბოროტებას?

[მარტოდენ ბრიყვი თუ ისურვებს გახელმწიფებას,

ოდეს არა აქვს არც ოქრო და არც ხალხის ნდობა.

კრეონი — შენ ხომ შენი თქვი, ახლა ჩემი მეც მათქმევინე.

ჯერ სცანი საქმის ვითარება, მერე განსაჯე.

ოიდიპოსი — ყურმა რომ კიდევ გაიგონოს, გული არ
 გისმენს...

შენ ხარ მოსისხლე მტერი ჩემი...

კრეონი — ჯერ მოვისმინე...

ოიდიპოსი — გისმენ, თუ შეტყვი, რისთვის, რად ხარ
ესდენ ვერავი?

კრეონი — შენ თუ გგონია სიკვრამდე და ურწმუნოება

სტივისცივის ღირსი იყოს, ცდები, მეფეო!

ოიდიპოსი — შენ თუ გგონია, რომ მოკეთე ლალატისათვის
თავის საზღაურს არ იღებ, ამოდ ფიქრობ.

კრეონი — არა შეტყმის რა, მტერს თავისი უნდა მიეზღოს.
მაგრამ მიბრძანე, რად შემწამე, მეფეო, ლალატი?

ოიდიპოსი — აბა თუ განსოვს, ღვინ მიჩაჩა გვეხმო მისანი?

კრეონი — ეგ შე ვიყავი და კიდევაც გავიმოთრებ.

ოიდიპოსი — დიდი ხანია იმის შემდეგ, რაც ლაიოსი...

კრეონი — აქ ლაიოსი რად ახსენე? სწორედ არ მესმის...

ოიდიპოსი — სიცოცხლეს მოსწყდა, განგმირული უცნობის
ხელით?

კრეონი — ო, ბევრმა წყალმა ჩაიარა იმ ამბის შემდეგ.

ოიდიპოსი — შიშხარი, მაშინ ტირისია ხომ მკითხაობდა?

კრეონი — ისე, ვით ეხლა, იყო ბრძენი. პატივცემული.

ოიდიპოსი — ჩემი სახელი მაშინაც თქვა?

კრეონი — (გაუბედავად) არა... არ განსოვს...

ოიდიპოსი — (დაცინვით)

ჰოდა, იმ ბრძენმა რატომ მაშინ არ გაგმხილათ,
რასაც დღეს ამბობს?

კრეონი — რაც არ ვიცი. რა მოგახსენოთ?

ოიდიპოსი — (მწარე დაცინვით)

შენი საქმისა კარგად იცი და კიდევ შეტყვი...

კრეონი — რომელი საქმის? თუ რამ ვიცი, არც დაგიმაღავ.

ოიდიპოსი — ის, რომ მისანთან პირი შეჰყარ, თორემ
სხვაგვარად

თგი მკვლელობის დაწამებას ვერ შემბედავდა.

კრეონი — რაც მან დაგწამა, ეს შენ იცი... ეხლა მეც
გკითხავ...

ოიდიპოსი — რაც გინდა მკითხე, მაგრამ მკვლელად ვერ
გამომიყვან...

კრეონი — შენ ხომ ქმარი ხარ ჩემი დისა?

ოიდიპოსი — დიას, ქმარი ვარ.

კრეონი — ცალ-ქმარს ერთი მჯკვეთ ხელმწიფება,
სიმდიდრეც ერთად...

ოიდიპოსი — თუკი რამ ნებადეს, ჯერ არ განსოვს, მეთქვას
უარი.

კრეონი — და მეც, მესამე, ხომ უფლებით თქვენი ტოლი
ვარ?

ოიდიპოსი — დიას, იყავი. მაგრამ ესლა მოღალატე ხარ...

კრეონი — ცდები, მეფეო! თუ მომისმენ, არც მგას
მკადრებ:

აბა დამფიქრდი, რად ვინდომო ხელმწიფედ ყოფნა,

შიში და ძრწოლა, რაც თან ახლავს ტახტს და დიდებას,

როს მშვიდად მძინავს და უფლებით ვარ შენი ტოლი?

მე მირჩევნია ჩინებული ხელმწიფის სახელს

უჩინრად მეტყრას ხელში საჭე ხელმწიფებისა,

და არასოდეს არ მოვიკლო შენი წყალობა.

(ამასვე იტყვის ალბათ ყველა ჭკუათმყოფელი).

მეფე, რომ ვიყო, ჰე რამდენი ჩემი სურვილი

უნდა ჩავიკლა, რომ მოვიგო მით ხალხის გული.

არა. ვერ გავცელი შენს მშფოთვარე ხელმწიფებაზე

ამ ჩემს უშფოთველ მბრძანებლობას ბატონკაცურად.

ეხლა ყველაფრით ვსიამოვნებ, ყველას ვუყვარვარ,

ყველა მთხოვნელი ჩემთან მოდის, რადგან უწყიან,

რომ ჩემს ხელშია გასაღები შენი წყალობის.

ჰოდა, საამო უსიამოს რად ვანაცულო?

აქ ბოროტ ზრახვას საღი ჭკუა არც გაიკარებს.

არცა გულში მაქვს რამე მწიკვლი ბოროტებისა

და ვერც გამიხდის მოღალატე თანამზრახველად.

გთხოვ: წადი დეფლოს, ქუჩაუშს ჰკითხე და

დარწმუნდები,

რარიგ სპეტაკად მოვიტანე აპოლოს სიტყვა.

მაგრამ თუ ვტყუი, თუ მისანი მე განვაზრახე,

მზად ვარ სიკვდილით ჩემი თავი თვით დავისაჯო.

ისე კი, ფეხით, უსაბუთოდ, ნუ დამსჯი მეფემ...
როს ემყარები უსაფუძვლო ცილისწამებას,
კეთილი ავად მოგეჩვენოს, ავი — კეთილად.
ხელს ევრე ნუ მკრავ, ვინც გულთიად მეგობარს კარგავს,
იგი სანუკვარ თვის სიცოცხლეს ემშვიდობება.
(პაუზის შემდეგ, ნაღვლიანად)

კაცის სიკეთის შესაცნობად წლებიც არ კმარა,
ხოლო სიხვის გამედევნებას ერთი დღეც ჰყოფნის.
პირველი უხუცესი — კეთილად მსჯელობს. შენც,
მეფეო, დინჯად განსაჯე,
თორემ სიჩქარით კენჭიც მთისა ზვავად იქცევა,
ხელმწიფის მსჯავრი კი საშინელ უსამართლობად.
ოიდიპოსი — მაგრამ თუ ზევი, იღუპალი ზაკვიო

აღძრული,
ჩემკენ ისწრაფვის, მაშინ მღეც ხომ უნდა ვიჩქარო?
თორემ მის მოსვლას თუ ვუცადე გულდამშვიდებით,
ის ჯიპარჯვებს, მე კი მის ქვეშ დავიმარხები.
კრეონი — თქვე, რას მიპირებ, გაძევებას?
ოიდიპოსი — არა, უარესს...

მსურს მოგაკვდიანო...
კრეონი — რა ბრალი მამქეს, ჯერ დამიმტკიცე...
ოიდიპოსი — იქნებ გგონია გადურჩები ჩემს განჩანებას!
კრეონი — სიბრძნე არა ჩანს შენს სიტყვებში.
ოიდიპოსი — მას საქმით ნახავ.

კრეონი — ნეტავ ასეთი რა შეგცოდნე?
ოიდიპოსი — მოღალატე ხარ...
კრეონი — თუ სცდები?
ოიდიპოსი — მაინც მორჩილება გმართებს ხელმწიფის.
კრეონი — ცუდი ხელმწიფის? უთაურის ო, არასოდეს...

(გაფითრებული ოიდიპოსი ხმალს იშინებებს და კრეონისაკენ გააფრევს,
მაგრამ უსიტყვოდ მავედრებელ უხუცესთა ნაღვლიან სახეებს რომ დაი-
ნახავს, ხმალს ისევ ქარქაშში ჩააგებს და გულიდან ამოკდება.)

ოიდიპოსი — ხომ გესმის, ხალხო, ჩემო ხალხო!
კრეონი — (დამუქრებით) ის ჩემიც არის,
იქნებ გგონია მხოლოდ შენ ხარ აქ მბრძანებელი?

ხორო — კმარა, დაწყნარდით, მეუფენო! ჰა, იოკასტე
თქვენსკენ მიქარის, გთხოვთ დაიცხროთ ეგ
გულისწყრომა...
(სასახლის კარებში გამოჩნდება იოკასტე და ჩქარი ნაბიჯით მათ
მიაშურებს).

იოკასტე — პე, საბრალონო! რას სჩადიხართ? ვაი,
სირცხვილო!

როცა ისედაც თავს გადაგვდის უბედურება,
შინაურ შფოთსაც ზედ უმატებთ? არ გეკადრებათ...
პალატში შედი, ოიდიპოს, შენც, ძმაო კრეონ...
არ გადაიქცეს მცირე წყენა დიდ მწუხარებად...
კრეონი — ოჰ, დეო ჩემო, რომ იცოდე შენი მეუღლე
ტყუილუბრადოდ რა საშინელ სასჯელს მიმზადებს!
ოიდიპოსი — დიან, მსურს მოვკლა, რადგან იგი არის
შეთქმული,

ჩემი სიცოცხლის მოსწრაფების მცდელი ვერაგი.
კრეონი — დე აქვე მოგკვდე, წყეულ ვაჟო უყუნისამდე,
ოდესმე ფიქრად თუ მომსვლოდეს შენი ღალატი.
იოკასტე — ხომ გაიგონე, ოიდიპოს, ძვირფასო ქმარო?
გაფიცებ ღმერთებს, გთხოვ ერწმუნო მის სიწოდებას...
გთხოვ პატივი სცე ამ ამ ხალხს და ჩემს ცრემლებსაც...
ხორო — დიდო მეფეო, გთხოვთ, გვედრებით...

შენს გულსა ჰკითხე,
სიბრძნით განჭვრიტე
და შეიწყალე.

ოიდიპოსი — ჩემგან რას ითხოვთ?
ხორო — შენი ცოლისძმა, შენი ერთგული,
ბრძნულად მეტყველი,
სათნო, კეთილი,
გთხოვთ, შეიწყალე...

ოიდიპოსი — გესმით, რასა მთხოვთ?
ხორო — გვესმის, მეფეო...

ოიდიპოსი — მე კი არ მესმის...

ხორო — დე ნუ იქცევი უპატიოდ, ვით მოღალატეს;
ვინც შენს წინაშე არის წმინდა და უცოდველი.

ო ი დ ი პ ო ს ი — ესლა კი მივხვდი... მისი დაცვით ჩემს
სიკვდილს ითხოვთ.

ხ ო რ ო — (მზისკენ ხელს აღაპყრობენ)
არა, ოპ, არა. მზე არის მოწმე,
თვით ჰელიოსი, ზენაართ ღმერთი...
ფულში თუ მქონდეს ეგ ბილწი ზრახვა,
ღუ აქვთ მოგვცდეს ვით მოღალატე,
ცის და მიწისგან შეზიზღებული.
მაგრამ, მეფეო, ჩვენ ისე გვტანჯავს,
ხალხის, მამულის, თებეს ვაება...
და გვეშინია... ო, გვეშინია,
ამ ჩვენს ვაებას არ დაერთოს სხვა განსაცდელიც.
(მაუზა. თიღობის ყოყმანობს. დიდი სულიერი ბრძოლის შემდეგ)
ო ი დ ი პ ო ს ი — ვათავისუფლებ! დე წავიდეს, თუნდ ამას
მოჰყევს

თქვენი ხელმწიფის მოკვდინება ან გაძევება...
წავიდეს, მაგრამ ჩემი ზიზღიც თან ჩადევდეს მარად.
კ რ ე ო ნ ი — ინაძლადევი წყალობაა, მაგრამ, მეფეო,
რაწამსაც რისხვა დაგიცხრება, ვიცო, ინანებ...
ვიცი, შენი ზნე შენვე გტანჯავს...

ო ი დ ი პ ო ს ი — წადი, გამშორდი!
კ რ ე ო ნ ი — აჰა, მივდივარ შენგან უღვთოდ შეგინებულთ,
ხელო მათ თვალში — სპეტაკი და ცამდე მართალი.
(კრეონი იოკასტეს და ხოროს თავის დახრით გამოეხტებოდა. თიღობ-
ის ზიზღით გაჟურებს მიმავალ კრეონს. ამ დროს იოკასტე უზუტესებთან
მივა, თვალებით ეკითხება რა მოხდაო, მაგრამ ისინი პასუხს თავს
არიდებენ).

ხ ო რ ო — ო, დედოფალო! ნუღარ აყოვნებ...
სჯობს ქმართან ერთად პალატს შებრძანდე.
ი ო კ ა ს ტ ე — თქვით, აქ რა მოხდა? რაზე დაობდნენ?
ხ ო რ ო — (დაზარებით) რაღაც ბუნდოვან სიტყვებს ამბობდნენ...
საწყენი არის ფულჭი ბრალდებაც...
ი ო კ ა ს ტ ე — ერთიმეორეს ბრალს დებდნენ?
ხ ო რ ო — დიას.
ი ო კ ა ს ტ ე — (მტკიცედ) რა ბრალსა დებდნენ? მაშენით
ყოველი...

ხ ო რ ო — გთხოვთ, დედოფალო. ნუ აღვიძებ მძინარ
ქარიშხალს...

ნუგაფერს გვკითხავ... კმარა, კმარა ეს განსაცდელი.
ო ი დ ი პ ო ს ი — (საყვედურით)
თუმცა შენ ჩემთვის კარგი გინდა, ჯერ ცუდსა ვხედავ...
ო, ბოლმს მახრჩობს... ამოტყუდება კვლავ... ქარიშხალი...
ხ ო რ ო — დიდა მეფეო, რამდენჯერ გითხარ,
ბრმა უნდა ვიყო ან უგუნური,
პატრეო არ ვსცი შენს ხელმწიფებას...
ან გოლალატო შენ, ვინც ქვეყანა
იხსენი ჟამსა ავბედობისა
და ჩვენი ბედი სწორად წარმართე...
ესლაც, მეფეო, იყავ მოწყალე,
ჩვენი მფარველი და წინაშედგარი.

✓ (თიღობის ნაღვლიანად თავს ჩაიკიდებს. საზარელი ფიქრები აეშალა).
ი ო კ ა ს ტ ე — გაფიცებ ღმერთებს, მეც მიიზარი, ჩემო
ხელმწიფეც...

განა რა იყო, ეგრე ძლიერ რომ განგარისხა?
ო ი დ ი პ ო ს ი — როგორ არ გეტყვი, ჩემო ერთად, ტკბილო
ნუგეშო!

კრეონი ამბობს, რომ თითქოს მე...
ი ო კ ა ს ტ ე — ჰო, დაძაბულე...
ო ი დ ი პ ო ს ი — ცილს მწაბებს, თითქოს მე ვარ მკვლედი
ლაიოსისა

ი ო კ ა ს ტ ე — (გაოცებული)
თვითონ შეუთხზავს, თუ ეს ჭკარი სხვამ ჩაავთნა?
ო ი დ ი პ ო ს ი — არა, სხვას თვითონ ჩაავთნა, ო, მოღალატე,
ფულთი მოსყიდულ ვერავ მისანს აღაპყრაკებს...
ი ო კ ა ს ტ ე — (უცნაო აღგზნებით)
ეგ ნუ გაფიქრებს, ო, დამშვიდდი, ჩემო ხელმწიფე!
მოკვდავს არა აქვს ნათელხილვის მაღლი ციური, —
ამის საბუთად, ხელმწიფეო, ერთ ამბავს გეტყვი:
მეფე ლაიოსს უმკითხავს ერთხელ ქურუმთა,
რომ მას მოჰკლავდა მისივე შვილი, ჩემგან შობილი...
(უზუტესნი შემოვთბუნნი ერთმანეთს გადაულაპარაკებენ)

ასე არისო ბედისწერით განჩინებული.

ოხ, შეილო ჩემო! ჩემს პაწია, სამი დღის ვაჟსა,
განთიადისას მამამ თასმით შეუჭრა ფეხნი

და თავის მსახურს უღრან ტყეში დაადგებინა.

ლალოსი კი, როგორც მთელმა ქვეყანამ უწყის,

აგზავებმა მოჰკლეს სამი გზის ჯვარედინზე.

(ოიდიპოსი უცებ შეკრთება. იოკასტე მოგონებით გატაცებული განაგრძობს და ვერც ამჩნევს, რომ ოიდიპოსი მას აღარ უსმენს).

ახლა ხომ ზედავ? არც ინება დიდმა აპოლომ,

რომ ჩემს პაწიას მამის სისხლში გასეროდა ზელი,

პირიქით, ამის დაეჭვებას თვით შეეწირა.

აი მეფეო, რა ფასი აქვს მისანთ ყბელობას...

ყურს ნუ ათხოვებ... თუ ღმერთებს სურთ რამე

გვაუწყონ,

მამინ საბურველს თვით ახლიან ირღუმალებას.

ოიდიპოსი — (თათქოს გამოერკვევა. ხმა ათრთოლებული)

ეგ რა მითხარი, სული ჩემი შფოთავს და ღრტყინავს...

გულიც საეულეს აღარ დგება, ო, იოკასტე!..

იოკასტე — ამას რად ამბობ?.. ოიდიპოს... შენ მთლად

გაფითრდი...

ოიდიპოსი — შენ თქვი, სამი გზის ჯვარედინზე მოჰკლეს

მეფეო...

იოკასტე — ასე ამბობდნენ პაშინ, ეხლაც ასე ამბობენ.

ოიდიპოსი — (ნაძალადევი სიმშვიდით)

სად მოჰკლეს მეფე, რა ადგილზე?

იოკასტე — შორს, ფოკიდაში,

სადაც დელფოს და დავლიის გზა ერთმანეთს სჭრიან.

ოიდიპოსი — ეგ როდის მოხდა?

იოკასტე — ხალხს ვუწყა ცოტა ხნით აღრე,

ვიღრე ამ ქვეყნის მბრძანებელი შენ გახდებოდი.

ოიდიპოსი — (თავზარდაცმული)

ღმერთო მალაღონ! ეს წამება რად განმიმზადეთ?!

იოკასტე — ეგრე რად შფოთავ, ოიდიპოს?

ოიდიპოსი — მაგას ნუ მკითხავ.

ჯერ ეს მითხარი, ლაოსი როგორი იყო?

ჩამდენი წლისა?

იოკასტე —

იყო იგი წარმოსადგეო.

ოდნავ ჭაღარა; ხოლო სახით (ოიდიპოსს სახეში ჩააკვირდება)

შენ ჩამოგვადედა.

(უხეღესნი უნებლიეთ ოიდიპოსს აკვირდებიან, ჩერჩულით ოიდიპოსის და ლაოსის მსგავსებას ადასტურებენ).

ოიდიპოსი — (სასოწარკვეთილი)

ვაი საბრალო ჩემო თავო, ნუთუ ეს შენ ხარ?

ვისაც შენ თვითონ დაატყვევო საზარი?..

იოკასტე — (გაუბედავად)

რა თქვი? ო. თვალსაც ვერ გიპწორებ, საშინელი ხარ...

ოიდიპოსი — ვინ იცის, იქნებ ბრმა მოხუცი სიმართლეს

ამბობს...

მაგრამ ამ საქმეს მეც გაგარკვევ, თუ ერთსაც მეტყვი.

იოკასტე — თუმც ძლიერ მაყრთობ, რისაც მკითხავ,

ყველაფერს გეტყვი.

ოიდიპოსი — ლაოს მეფე გზას გაუდგა მცირე ამალით,

თუ ბევრნი ახლდნენ, როგორც ჰმეენის ქვეყნის

მბრძანებელს?

იოკასტე — მაცნესთან ერთად ზუთნი იყვნენ და ერთიც

ეტლი,

რომელშიც იჯდა თვითონ მეფე.

ოიდიპოსი —

ეხლა კი მიგზედო...

ყველაფერს მიგზედი... პოი ღმერთო! მაგრამ ქალაქში!

ამბავი ვინა მოიტანა?

იოკასტე —

ერთმა მსახურმა,

რომელიც მცვლელებს გამოეჭედა.

ოიდიპოსი —

და ის მსახური

აქ ჩვენთან არის, სასახლეში?

იოკასტე — (მუხხაროდ)

არა, მეფეო!

რა ეს ამბავი მოიტანა და ლაოსის

ტახტზე შენ განაბა, ის ქვეითნით ფერხთ ჩამივარდა...

მთხოვა. სოფელში გამიშვიო ნახიარის მწყემსად,

არ მსურს ენახოთ ეს ქალაქი ამიერიდან...

და მეც უარი ვერ ვუთხარი, მწყემსად გავეშვი,
ვით ერთგულ ყმისა, ეკუთვნოდა მეტი წყალობაც.
ოიდიპოსი — არ შეიძლება, რომ საჩქაროდ აქ მოიყვანონ?
ოიკასტე — ეგ შეიძლება. მაგრამ მწყემსო რაში გპირდება?
ოიდიპოსი — (მოუთმენლად)

შეიშა შემთხვევა... როგორ გითხრა, ო, იოკასტე,
ძალზე დიდია ეს მიზეზი... ჩქარა მოვიდეს...
ოიკასტე — (ალერსიანი საყვედურით)

ჰო, ჩქარა მოვა. მაგრამ, მეფე, მეც ხომ ვარ ღირსი,
რომ ეგ წუხილი შენს მეგობარს გამიზიარო?

ოიდიპოსი — (სათუხად)
ღირსი ხარ, ჩემო მეგობარო, მამ ვისდა ვანდო,
ვის-გაგუშვილო მშვეთხარ სულის იდუმალება,
თუ არა შეურთეს ჩემს მტუდელს?... ჰოდა, მისწინე:
პოლიბოს იყო მამაჩემი, კორინთოს მეფე,
დედას კი, ტომით დორიდელსა, ერქვა მეროპე.
გიყავ მეფის ძე, ბედნიერი, სახელოვანი,
ვიღრე ერთი რამ არ შემეშინებდა, რამაც ერთბაშად
თავზარი დამცა, გამოცა, თუმიცა ბირველად.
ერთხელ ნადიმზე, ვილაც მოვრალმა, არ ვიცი რატომ,
მოგდებულეთო. — წამოშახა... სისხლი ამემდვრა,
ცოტა-ლა აკლდა, დასახრჩობად ყელში გწვდომოდი
და როგორც იყო, მოვითმინე... მეორე დღეს კი
მშობლებს შევჩვილე... ო, ისინი დიდად განრისხდნენ,
მთქმელი დსაჯეს, მომეფერნენ და მეც დავწყნარდი.
მაგრამ ის სატყვა ისე მძაფრად გულს აღმებეჭდა,
ისე მტანჯავდა, რომ ერთ ღამეს, მშობელთ უმძრახად,
შორეულ დედვოს გავემგზავრე, მაგრამ აპოლომ
ჩემს შეკითხვაზე არა თქვა რა, საშავიეროდ,
მამცნო ამბავი საზარელზე უსაზარელესი,
(ზენაარ ღმერთთა რისხვა ჩემს თავს გარდასახადი...
მან ნათლად მითხრა, რომ მე მოვკლავ ჩემს მთხოვ
მამას,

ხოლო დედასთან მიმდგომელი გავაჩენ შეილთა,
ცისა და ქეყნის სატლევლთა უკუნისამდე...

რა ეს მომესმა. მწუხარებით გაოგნებულმა,
ზურგი ვაქციე ჩემს საყვარელ კორინთოს მიწას
და ღამის ვარსკვლავთ მინდობილი ვაგუდექ გზასა...
გავბოდო, რათა გაგქცეოდი ჩემს ბედისწერას...
დიდხანს გავბოდო... და ჰა, ვხედავ გზაგარედინთან,
სწოროდ ექ. სადაც. შენი სატყვოთ, ხელმწიფე მოაკლეს,
ბედურები ეტლს შარაზე მთაქროლუბენ...
ეტლში სულ ორი მგზავრი იყო, ერთი მოხუცი,
თვალტანადობით სულ ძსეთი, როგორც შენა თქვი,
მეორეც მაცნე... და როდესაც მომიახლოვდნენ,
ინდობეს გზიდან გადევადეთ, ან გავეთვლეთ,
ვერ მოვითმინე და შეეტლეს უეცრად დავკარ,
რომ იმ მოხუცმაც ორგზის შოლტი გადმომიჭირა...
მაგრამ ზედმეტად ვაზღვევანე ეს თავხედობა...
კვერთხი ვაძვერე და მოხუცი ძირს გაინართხა...
გავქლიტე სხვებიც... მართალს ვამბობ, ო, იოკასტე!
თუ იმ მოხუცსა და ღამის საერთო რამ აქვთ,
მამინ ამ ცისქვეშ ვინდა იყო? ჩემზე ბედარული
და ღმერთებისათვის საძულველი, ო, იოკასტე!...
არც ჯუბინათს ბინა მომცენ, არცა სალამი...
და წყევლა-კრულვის მოძახილით შორს გარდამხვეწონ...
ნუთუ ჩემს თავსვე ვიწყევლიდი იმ უბედური?
ნუთუ ამ ხელით მე უგუთურს მომიკლავს მეფე
და ამ ხელითვე შეგურყვენი მას სარეცელი?
მამინ ვინა ვარ? განა მართო მკვლელი, ბოროტი?
ხავით ფეხამდე სიბილწე ვარ... უნდა გავიქცე...
და საიდ გავიქცე? თუ კორინთოს კვლავ დავუბრუნდი,
მოვკლავ პოლიბოსს, ჩემს საყვარელ, ჩემს კეთილ მამას,
ხოლო ჩემს დედას, აპოლოს თქმით, ცოლად შევირთავ.
აბა ვინ იტყვის, რომ ესოდენ სასტიკი ხვედრი
არ მომისაჯა თვით დემონმა უბოროტესმა?
ო, არა, ღმერთო, ზენაარნო აქვე დამლახვრეთ!...
ნუმიც გამითენებთ იმ შავ დღესა, საზარელ დღესა!...

(იოკასტე შეძრწუნებულია, თავდახრილი დღეს. უხუცესი რაღაცას
ნაღვლიანად ზურჩულებენ).

პირველი უხუცესი — ო, ამ ამბავმა ჩვენ შეგვზარა,
მაგრამ, მეფეო,

იმედს მოწმეთა მოსმენაშიღე ნუ გარდაიწყვეტ...

ოიდიპოსი — მწყემსს დაფელოდოთ... გელა არის ერთი
იმედი...

მაგრამ, ვართუ ამ იმედსაც დიდი ღღე არ აქვს...

ოიკასტე — მაინც მწყემსისგან რას შეიტყობ?

ოიდიპოსი — თუ შენი სატყვა

მწყემსის ჩვენებას დაემთხვევა, მაშინ გადავჩიო.

ოიკასტე — რომელი სიტყვა?

ოიდიპოსი — რომ ხელმწიფე მოკლეს ყაჩაღთა.

თუ მანაც ეს თქვა, მე არა ვარ ხელმწიფის მკვლელი.

არ შეიძლება ერთი მრავლად მოსჩვენებოდა:

მაგრამ თუ იტყვის, მკვლელი მართო ერთი იყოო,

მაშინ ეს ცოდვა ჩემს თავზეა...

ოიკასტე — (მხიარული გამოცოცხლებით) დიახ, მეფეო!

ბევრნი იყვნენო, მეც და ყველას ეს გაწავიცხადა.

რა საკადრია დღეს გადათქვას, და თუ გადათქვამს,

(წუთიერი დაფიქრების შემდეგ, გულისწყრომით)

ღვთის სიტყვას მაინც ჩად წაუვა? აბოლომ ბრძანა

რომ მამას მოჰკლავს მისივე შვილი, ჩემგან შობილი...

თუმც ჩემს პატარას მის მოკვლამდე აღმოხდა სული,

თბ, არა, არა... ღმერთის სიტყვაც აღარა მჯერა...

(უხუცესთ შორის დიდი აღშფოთება)

ოიდიპოსი — სიძარტლეს აზრობ... მაინც მწყემსთან კაცი

გავგზავნე.

ოიკასტე — პალატს შევიღეთ. ჰო, გავგზავნი, ჩემო

ხელმწიფეც.

მზად ვარ ყოველი აღვასრულო, რაც შენ გაამბეს.

(ოიდიპოსი და იოკასტე სასახლეში შედიან)

ხორო — ო, ბედისწერავ, შენ მომიცე სიმზნე,

რათა სპეტაკი სიტყვით თუ საქმით,

ცით მონიჭებულს ვიცავდე სჯულსა,

რომლის მამაა თვით ოლიმპოსი,

ხოლო ეთერი — სამშობლო წმინდა.

16 შს

არ შეუქმნიათ იგი მოკვდავთა
და ღვიწყებაც ვერ წაშლის, რადგან
მასში ღმერთია ქაბუკი მარად...

ამპარტავენება მობს თვითნებობას,
ხოლო სიხარბე ბრმა, უგუნური,
მრავალ ცუდის ქმნით, უკეთურ გზითა
მალალ მწვერვალზე აიყვანს კაცსა,
რათა დიდებულ ამ სიმაღლიდან
საშინელების უფსკრულში დანთქას
და იქ აღმოხდეს სულა ბოროტი...
ო, გვიწინამძღვრე, ღმერთო მაღალო,
გვედრით, წყალობის მსახურებელნი.

ვინცა ქედმაღლობს დიდებით მთვრალი,
არღა ეკრძაღვის მართლმსაჯულებას
და არც პატივს სცემს ზენაარ ღმერთთა,
დაე ბოროტი ნეტარებისთვის
მას მიენიჭოს ხეფროც ბოროტი.
ვინცა ცრუ სიბრძნით განგებას ხელყოფს
და მისღევს მზაკვრულ მომხვეჭელობას,
ბნელ საქმეთათვის რომ ეთქმის გული,
ნუმც გაღურჩება ღვთის მრისხანებას...
თუ ამგვარ საქმეთ პატივსა სცემენ,
რა საჭიროა ეს ღაღადისი?

ცუდ საქმეთათვის მოკვდავს ყოველსა
თუ არ მიეწყვის შესაფერისად!
თუ ღმერთი ძალას არ გამოიჩენს
წინასწართქმულის აღსრულებითა...
ლოცვა-ვედრებით რათლა ვეწვია
მაწის წმინდა გულს, ან თვით ოლიმპოსს,
ანდა აბაის უძეგლეს ტაძარს.
ო, დიდო ზევსო! თუ შენ ხარ მართლა
შემძლე ყოველისა, ღმერთების ღმერთი,

უსახლართოდ, დე, ნუ დარჩება
მოკვდავთა ცოდვა შენს მეუფებას.
თორემ გაცუდდა სიტყვა ქურუმთა,
ლაიონისთვის წინასწართქმული...

დღეს თვით აბოლოს პატრის არ სცემენ
და იქელება ღვთაება წმინდა.

(სასახლის კიბეზე ჩამოდის იოკასტე. ეთ ხელში ყვავილების კონა
აქვს, ხოლო მეორეში გუნდრუკის პატარა კოლოფი).

იოკასტე — ერას მთავარნო! რომ იტოდეთ, თქ, რომ
იტოდეთ,

რარვ უზომოდ წუხს და შეფთავს ხელმწიფე ჩვენ...

შავი ფიქრებით გაოგნებულს წარელო სიბრძნე
და ვერა არჩევს სიტყუთა და სინამდვილეს...

ჩემო აღარ სწამს არაფერი. სხვისა კი სჯერა,
ოღონდ ის უთხრან, რაც შეზარავს მის ტანჯულ სულს...

მეც გადავწყვიტე, ღმერთს მივართვა შესაწირავი:

ა ეს ყვავილნი და გუნდრუკი სურნელოვანი.

(აბოლოს ქანდაკისავენ ხელს გაიშვრს)

ჰოი, აბოლო ლიკელო, შენ გევედრები...

აღმოცისკრებით განგვინათე ღამე უკუნით,

თორემ წყვდიადში წინამძღვარი გზას ვერა იგნებს...

ჩვენც შიში გვიბყრობს... ჰოი. გვიხსენ, დიდო აბოლო!

(ყვავილებს აბოლოს კვარცხლებზე დაწყობს. შემდეგ კოლოფიდან
გუნდრუკს ამოიღებს და ნაკვერცხლებზე მიმაბნევს. სამსხერპლოდან
ცისფერი კვამლი ამოვა. იოკასტე ჩუმად, მხურვალედ ლოცულობს. მარ-
ჯვენა მხრიდან სცენაზე შემოდის კორინთელი მოამბე, თავით ფეხამდე
დამტვერილი, ჩანს, შორეული ქვეყნიდან მოსულა).

მოამბე — ეპეი, ხალხნო! აქ სად არის ხელმწიფის სახლი?

ანდა ამჟამად თვით ხელმწიფე სადა ბრძანდება?

ხორო — სახლი ეგ არის, შინ ბრძანდება ოიდიპოსი,

ეს კი ცოლია, თვით ხელმწიფის შვილების დედა.

(მოამბე დედოფალს მღაბლად თავს დაუქრავს)

მოამბე — საღამო ტურვა დედოფალს, დე ცხონდებოდე

ბედნიერით შორის ბედნიერად უკუნისამდე!

იოკასტე — ამ დალოცვისთვის შენც იხარე, უცხო
სტუმარო!

თქვი, რა ამბავი მოგვითხენ?

მოამბე — სასიხარულო...

შენი ქმრისა და ოჯახისთვის.

იოკასტე — ნეტავ მეთი

რა ამბავია, ვინ გვიგზავნის?

მოამბე — კორინთოს ხალხი...

სასიამოვნო ამბავია, თან საშუალოც...

იოკასტე — ეგ რა სიტყვაა, დარდს სიამე არ ეთავსება.

მოამბე — მთელი ისტამბოლი მოიღობის თხოვს ხელმწიფეებს.

იოკასტე — როგორ, იქ ტახტი ხომ დიდებულ პოლიბოსს
ეპყრა?

მოამბე — მაგრამ სიკვდილს მეუფებამ შეიპყრო მეფე.

იოკასტე — (აღტყუბით) გარდაიცვალა?

მოამბე — თუ გტყუოდე, დე, აქვე მოვკვდე.

იოკასტე — (მხეცხვს)

მსახურო, გასწი, ბატონ მეფეს აქ მოუწოდე.

(მხეცხვი მიდის გახარებული იოკასტე ცისკენ ხელს გაიშვრს).

აჰა, ღვთის სიტყვა, წინასწართქმა თუ რა ყოფილა...

რომ ოიდიპოსს არ მიეცლა მოხუცი მამა,

შიშით ლტოლვილი თვით ქვეყანას შორს განერიდა...

ეხლა ხომ ზედავთ? პოლიბოსი თავისით კვდება...

შვილი აქ არის, ხოლო მამა იქ აღესრულა.

(სასახლს კიბეზე სწრაფად ჩამოდის ოიდიპოსი)

ოიდიპოსი — რად მიხმე, ტურვა იოკასტე?

იოკასტე — (აღტყუბით) ჩემო ხელმწიფე,

აქ უცხო სტუმარს მოუხმინე და შენ გაიგება,

თუ ვით სრულდება ზენაართა წინასწართქმული.

ოიდიპოსი — საიდან არის? რას გვაუწყებს?

იოკასტე — კორინთელია,

გვაუწყა, მამა პოლიბოსი აღესრულა...

ოიდიპოსი — (შეშფოთებით)

შენი პირით თქვი კორინთელია, ეს მართალია?

მოამბე — თუ ეს ამბავი საჭიროებს განმეორებას,

გეტყვით: პოლიბოსს სამუდამოდ დაგემშვიდობათ.

ოიღიპოსი — მაინც რამე მოჰკლა? კაცთ მზავრობამ თუ
სწეულებამ?

მოამბე — მიხრწნილ სხეულში მბჟუტავ შუქსა სიოც
ჩააქრობს.

ოიღიპოსი — მაშ უბედური სენმა მოკლა?

მოამბე — და სიბერეც.

ოიღიპოსი — ო, იოკასტე, ამის შემდეგ ვითლა ეგრემთნო,
დეღფოს სამისნო საკურთხევლებს, ქუჩუმბა ღაღადს,
ან ცაში ფრინველთ, იღუმალ ხმით მანრინებელთა,
რომ კეთილ მამას ჩემი ხელით სულს აღმოვნიდრი?
ხომ გაიგონე? საუკუნოდ მან განისვენა,
ისე რომ მასზე შვილის ხელი არ აღმართულა.
მხოლოდ ერთია... ეხ, ვინ იცის, იქნებ პოლიბოსს,
ჩემზე წუხილმა, ჩემზე დაჰდმა მოუღო ბოლია...
გესმის? აწ იგი პიწაშია, ქვესკნელს შთავიდა
და უფუნური წინასწართქმაც წარლო თანა.

იოკასტე — მეც ხომ, მეფეო, სულ ეამბოზი...

ოიღიპოსი — მო, შენც ამბობდი...

და არ მჯეროდა... შიში იყო უფალი ჩემი...

იოკასტე — ეხლა ხომ გჯერა, ამგვარ შიშსა გული არიდე.

ოიღიპოსი — მაშ ჩემი დედის სარეცლისა არ მეშინოდეს?

იოკასტე — მაგას რად ბრძანებ? როცა ბედი სიხარულს
გწყალობს,

და ყოველგვარი წინასწართქმა არის ამაო, —

სჯობს, რომ ცეცხლოვრო სულ უბრალოდ და უზრუნველად

დეღასთან სისხლის აღრევისა ნუ გეშინია...

ზოგჯერ მოკვდავი ამ სიბილწეს სიზმარში სჩადის,

მაგრამ როდესაც თვალს გაახელს, არადგერია...

ოიღიპოსი — თუმც მართალს ამბობ, მე რატომღაც
გქრთი, იოკასტე...

ჯერ კიდევ ცოცხლობს ჩემი დედა, მშობელი ჩემი,

და ვიდრე ცოცხლობს, მეშინია, ო, მეშინია...

იოკასტე — მამა ხომ მოკვდა, აი შენი ღიდი ნუგეში...

ოიღიპოსი — ეგ მაიმედებს, მაგრამ დედა ხომ ცოცხალია?

მოამბე — მეფეო, ესდენ რომ ფაშინებს, ვინ არის იგი?

ოიღიპოსი — მერობე, ქვერივი პოლიბოსი.

მოამბე — რატომ, მეფეო?

ოიღიპოსი — შემზარავია ბედი ღვთისგან განჩინებული.

მოამბე — საიღუმლოა, თუ ჩემთანაც ითქმება იგი?

ოიღიპოსი — რატომაც არა... ზენაარმა აპოლომ ბრძანა,

ოდესმე ცოლად შეირთავო შენ მშობელ დედას...

სწორედ ამიტომ ნების დავტოვე კორინთოს მხარე

და გადვიკარგე... თუმც მეფე ვარ, ვარ ბედნიერი,

მაინც, მოხუცო, მშობლის ხილვა თვალს იამება.

მოამბე — განა ამიტომ გარდისგეწე?

ოიღიპოსი — და კიდევ მიტომ.

რომ ჩემი მამა არ მომეკლა...

მოამბე — ჩემო ხელმწიფე,

კეთილი მიზნით აქ მოსულსა, მომეცი ნება,

რომ აი ეხლავ მიგცე ქარსა ეგ შენი შიში.

ოიღიპოსი — ნეტავი მართლა... ღირსეულად
დავაწყალობებ.

მოამბე — (შემაპავად)

ვეც სწორედ მიტომ გეახელით, რომ კორინთოში

შინ მიყვანისას შენგან ვირგო მცირე წყალობა.

ოიღიპოსი — (მტკიცედ)

არა, ეინც მშობა, არც ვიბილავ მას არასოდეს.

მოამბე — (სიცილით)

ო, შვილო ჩემო, თუ რასა იქმ, არც თავითონ უწყი.

ოიღიპოსი — სათანო მოხუცო, ღმერთს ვაფიცებ, ამისგან
თვალნი.

მოამბე — მშობლებს გაუბიბი და ამიტომ აქ დაივანე?

ოიღიპოსი — ვშიშობ, არ ახდეს წინასწართქმა ღვთით
ბრძანებული...

მოამბე — და რომ არ გახდეს წამბილწველი მშობელი
სახლისა?

ოიღიპოსი — დიას, მოხუცო, ეგ შიში მღევს ყველგან და
მარად.

მოამბე — ეჰ, რომ იცოდე რა ფუჭია ეგ მშფოთვარება.

ოიდიპოსი — ფუჭია? როგორ? მე ხომ ძე ვარ ჩემი
მშობლების?

მოამბე — თუ პოლიბოსის წვეთი სისხლიც არ არის შენი?
(იოკასტე შეკრთება, ამ ლაპარაკს ავადმყოფური დაძაბულობით
უსმენს).

ოიდიპოსი — რა თქვი, მოხუცო? პოლიბოსი მამაა ჩემი.
მოამბე — (ხუმრობით)

ისე, როგორც მე... არცა მეტად და არც ნაკლებად.
ოიდიპოსი — ჩემს მშობელ მამას უცხო კაცი როგორ
იდრები?

მოამბე — ჩემებარ უცხოა იგი შენთვის.

ოიდიპოსი — შეილს თუ იმეძაბა?

მოამბე — მეფე პოლიბოსს ამ ხელებმა მიგვარეს, შვილო...

ოიდიპოსი — და მავ ხელთაგან აყვანილი ვგრე ვუყვარდი?

მოამბე — რადგან თავისი არა ჰყავდა, შენ შეგიყვარა.

ოიდიპოსი — სადმე მიყიდე ხელმწიფისთვის, თუ შენ ხარ
მამა?

მოამბე — არა, გიპოვნე უღრან ტყეში კითხვანდა.

(იოკასტე გულზე ხელს მიიჭერს... ჩანს უსაზღვროდ იტანჯება).

ოიდიპოსი — იქ რა გინდოდა?

მოამბე — (თავმოწონედ)

მოამბე — (მოწყემსი ვიყავ, ნახირს დაუდევდი.

ოიდიპოსი — ნახირს დადევდი?

მოამბე — სიკვდილისგან მე დაგიხსენი.

ოიდიპოსი — თქვი, სასიკვდილო რა მიჭირდა?

მოამბე — ო, შვილო ჩემო!
ამას გაუწყებებს შემს წვივებზე დაღი შთინალო.
(იოკასტე სუსტად წამოიყვლება. ქანდაკის კვარცხლბეკს მიეყრდნობა).

ოიდიპოსი — კმარა, მოხუცო, ნუ მაგონებ ძველ ბო-
როტებს!

მოამბე — თასმას წვივები ღრმად ჩაეჭრა... მე შეპოვნესენი.

ოიდიპოსი — არტახიდანვე სასიარტხილო დამყვა ნიშანი...

მოამბე — პოდა, აქედან წარმოიშვა შენი სახელიც.

ოიდიპოსი — და ასე უღეთოდ ვინ გამწირა, დედამ თუ
მამამ?

მოამბე — ეს იმან იცის, შენი თავი-ვინც-ამაბაბა...

ოიდიპოსი — ვინ ჩავაბარა? განა ტყეში შენ არ მიპოვნე?

მოამბე — არა, ვისგანაც შენ მიგიღე, სხვა მწყემსი იყო.

ოიდიპოსი — სხვა მწყემსი იყო? ვინ? მითხარი, ჩქარა,
მოხუცო!

მოამბე — ლაიოსის ყმა იყო, გვანებ...

ოიდიპოსი — აწ გარდაცვლილი
— თებეს ხელმწიფის?

მოამბე — დიახ, იმის ნახირს მწყემსავდა.

ოიდიპოსი — ეხლა სად არის? ცოცხალია? იქნებ
მაჩვენოთ?

მოამბე — თებეს მცხოვრებნო, ეს თქვენ უკეთ
გეცოდინებათ.

ოიდიპოსი — ხალხნო! თქვენს შორის ნუთუ იმ კაცს არ
სცნობს არავინ?

აქ, თუ სოფელში თქვენ ის მწყემსი არ შეგხვედროთ?

ჰა, მოდის ესეი საიდუმლოს გამჟღავნებისა...

ხორო — ევანებ, ის მწყემსი, თქვენ რომ უხმეთ, ის უნდა
იყოს...

სჯობს იოკასტეს შეეკითხოთ... მან უკეთ იცის.

ოიდიპოსი — შენ როგორ ფიქრობ, ეს მოხუცი რომ
ასახელებს,
ჩვენც სწორედ იმ კაცს დაუძახეთ? თქვი, იოკასტე?

იოკასტე — (ცდილობს მღელვარება დაფაროს)

ვის ასახელებს? გთხოვ, ნუ უსმენ... სიცრუეს ამბობს...

ოიდიპოსი — ო, არა-მეტქი, როს ხელთა მაქვს ყველა
საბუთი,

ბარემ სათავეც ვპოვო ჩემი წარმოშობისა.

იოკასტე — (გაშეშებით)

გაფიცებ ღმერთებს! თავი ოდნავ თუ მაინც გიყვარს,
ნუღარა მოიძევ! თიდიპოსს, გთხოვ, გვედრები...

კმარა, ო, კმარა, რაც ვიტანჯე...

ოიდიპოსი — ნუ გეშინია!
შვილიც რომ ვიყო უჯილაგო, ყურმოჭრილ ყმისა,
ეს ვერ შებღალავს შემს სიწმინდეს და სათნოებას.

იოკასტე — ნუ იძევ-მეთქი, თიღობს, გთხოვ, გვედრები.
თიღობს — ფერ დაგვიფერებ... თვით ქვესკნელში
ჩავსდევ სიმაართელს...

იოკასტე — სიყეთეს გირჩევ, შენთვის ვზრუნავ. — შენს
სიცოცხლეზე...

თიღობს — (მოუთმენლად)

ესლა ზომ ხელავ, რომ სიცოცხლე მომძულვია!

იოკასტე — (თავისთვის, სასიწარკვეთით)

ნეტავ არასდროს არ გაგეგო, ფინც ხარ, საბრალოც!

თიღობს — (მცველს)

გასწო და მწყემსი აქ მომგვარე... (იოკასტეს) შენ კი, თუ
გნებავს.

დე. იამაყე შენი გვარს დიდებულებით...

(იოკასტე უკანასკნელ ძალას მოიკრებს, თიღობსთან მივა და ჩუბად
გტყვის)

იოკასტე — ო, უბედურზე უბედურო, აწ დავდუმდები...

ეს არის ჩემი აღმოცენესა უკანასკნელი.

(ერახანს ჩაიკებთ სახეში უცქერის; შემდეგ თავზარდაცემული სახეს
ხელებით დაიფარავს და სასახლისკენ ჩქარა ნაბიჯით გასწევს).

პირველი უხუცესი — რატომ დაგვტოვა დედოფალმა,
ფრთხილად, მეფეო!

ჩუმი წუბილით გულმოკლული მსწრაფლ განგვერიდა...

ო, ეს სიწუმე არ ამოტყდეს ქვეყნის გოდებად.

თიღობს — დაე გარდაშედეს გარდუვალი! ჩემს
ფესვებს ვეძებ!...

რადგინდ მდებალი წარმოშობის არ უნდა ვიყო,

არ მეშინია... მხოლოდ ჩემს ცოლს, პატივმოყვარეს,

უგვარო ქმრისა, რა თქმა უნდა, რომ ირცხვინება...

აზადერია... ჩემი დედა თვით განგება,

მაჟა — სდრო-ჟამი, ნათესავნი — გუნდნი იარსკვლავთა...

მათი კალთის ქვეშ მე, არაბა, ზეღმწიფედ ვიქეც...

და როცა ესდენ მწყალობს ზეცა, რად მეშინოდეს,

შევიცნო ჩემი დაბადების იდუმალება?

(მწყემსის მომლოდინე კვაზე ჩამოვდება. იქვე მოკრძალებით დგას კო-
რინთელი მოამბე)

ხორთ — თუ მეც შევძლებ წინასწართქმას,

მე

გულიც მართალს მკუზნება...

ო, კითერონ, დიღო მთაო!

თიღობსის ღმერთებს გფიცავ,

ვიღრე მთვარე ხევში ჩათვლემს,

გარს ფერხულით შემოგვივლოთ

და დიდებას გიგალობებთ...

რადგან ყრმასა თიღობსს,

სასიყვდილოდ ვანწირულისა,

შენ გაუჩნდი მწყალობელად

და მამობრივ სიყვარულით

კვლავ სიცოცხლეს აზიარე...

შენ სიყეთის წიადი ხარ,

რომ დაიხსენ ჩვენი მეფე...

ჰოი, ფებოს, შეგვიწყაღე

და განსაცდელს აგებაწორე!

ო, ვინ იყო უცვლადვთავან,

ვინცა გშობა, ყრმავ, ნეტარო?

იქნებ პანმა, მთის მცხოვრებმა,

ან აბოლომ, ტყის სტუმარმა.

ნაზ ქალწულთან ივაგაჩინა...

იქნებ ძე ხარ პერმესისა.

იქნებ ბახუსს მწვანე მოლზე

სადმე ხევში უბოვნიხარ,

პელიკონის უტურფეკი

ნიმფასაგან მიუდებული...

რომელთანაც ზოგჯერ უყვარს

ბახუსს ყოფნა საღალობოდ.

(მარცხნივ, შორს გამოჩნდება ლაიოსის მწყემსი, რომელიც თიღობსის
ორ მსახურს მიჰყავს).

თიღობს — აფერ ის მწყემსიც, თუმცა წინათ არსად
მინახავს,

ყველა ნიშნებით, ჩვენ რომ ვეძებთ, ის უნდა იყოს. —

ღრმა მოხუცია, წლოვანებით მოამბის ტოლი...

დიახ, ეს ჩემი მონებია, თან რომ ახლავან...

აღმათ, თქვენ ჩემზე უკეთ იცნობთ...

ერ-თ-ე რ-თ-ი უ-ბ-ე-ც-ე-ს-ი — დიახ, მეფეო,
ის უნდა იყო, ლაიოსის ვრთველი მწყემსი.
ო-ი-ღ-ი-პ-ო-ს-ი — ეხლა კორინთელ გზარსაც ეკითხოთ...
კარგად შეხედე, —

შენ რომ ამბობდი, ის მწყემსია?
მ-ო-ა-მ-ბ-ე — დიახ, მეფეო!
(ამასობაში მწყემსი შემოვა აქეთ-იქით შეშინებული იყურება).
ო-ი-ღ-ი-პ-ო-ს-ი — (მწყემსს)

მოხუცო, თვალნი გამისწორე და მიპასუხე, —
შენ ლაიოსის ყმა იყავი?

მ-წყ-ე-მ-ს-ი — დიახ, მეფეო!
განა მიყიდა, შინ გაზრდილი მონა ვიყავი.
ო-ი-ღ-ი-პ-ო-ს-ი — რა ხელობის ხარ?
მ-წყ-ე-მ-ს-ი — რა და მთელი ჩემი სიცოცხლე
ნახირს ვმწყყსავდი.

ო-ი-ღ-ი-პ-ო-ს-ი — უფრო, სწორად სად ამოვებდი?
მ-წყ-ე-მ-ს-ი — ხან კითვრონის ფერდობებზე... ხან იქვე
ახლოს...
ო-ი-ღ-ი-პ-ო-ს-ი — კარგად უცქირო, იქ ეს კაცი ზომ არ
გინახავს?

მ-წყ-ე-მ-ს-ი — (შეშინებული)
სად? რა საქმეზე, ვისზე ბრძანებთ? (ნაძალადევი სიმშვილით)
ო-ი-ღ-ი-პ-ო-ს-ი — (მოამბეზე უჩვენებს)

შენ წინ რობა დგას...
ნუთუ ეს კაცი იქ არასდროს არ შეგხვედრობა?
მ-წყ-ე-მ-ს-ი — (მოამბეს აკვირდება, ვითომ ვერ იცნო. უარს ნიშნად
თავს გადაიქნევს)

აბა შეგხედო! არა, მეფეც, არ მაგონდებო...
მ-ო-ა-მ-ბ-ე — ნუ იკვირს. მეფეც, რაც არ ახსოვს, მე
გაგახსენებ...

მაშინ მას ჰყავდა ორი ჯოფი, მე კიდევ — ერთი.
და ამ საქონელს კითვრონზე ურთად ვმწყყსავდით.
ერთ იალაღზე გავატარეთ სამი ზაფხული...
ხოლო როცა მიწა ზამთრის პირზე ქირხლს დაიდებდა,
წამსვე საქონელს შევრეკავდით მე — ჩემს ბოსელში,

ის კიდევ — თავის საჩხებში... (მწყემსს) ხომ მართალს
ვამბობ?

მ-წყ-ე-მ-ს-ი — (დაფიქრების შემდეგ)
გვონებ სწორს ამბობს... იმის შემდეგ დიდმა დრომ
განვლო...

მ-ო-ა-მ-ბ-ე — ესეც თუ გახსოვს, შენ მომეცი ძუძუთა ბავშვი,
და მთხოვე, რათა აღმეზარდა ვით ღვიძლი შვილი.

მ-წყ-ე-მ-ს-ი — (შეშფოთებული)
ეგ რატომ მკითხე?

მ-ო-ა-მ-ბ-ე — (ამაყად ოდიბოსზე უჩვენებს)
ჰა ის ბავშვი, დღეს ხელმწიფეა...

მ-წყ-ე-მ-ს-ი — (თავზარდაცმული)
ხმა ჩაიწყვიტე!.. უგუნურო!

ო-ი-ღ-ი-პ-ო-ს-ი — (შაკრად) — კეთილ. მოხუცო!
იმას რად სტუქსავ, როცა თვითონ ჩარ სასჯელის ღირსი?

მ-წყ-ე-მ-ს-ი — ჩემო ხელმწიფეც, რა შეგცოდენ მე შევდლიანმა?
ო-ი-ღ-ი-პ-ო-ს-ი — მან ბავშვზე გკითხა, უპასუხე!

მ-წყ-ე-მ-ს-ი — მეფეც, მერწმუნე,
თვითონ არ ესმის. რასაც ჩმახავს... სულ სიცრუეა...

ო-ი-ღ-ი-პ-ო-ს-ი — რღაცა სიკეთე უძლურია, ჰიავე გასჭრის.
მ-წყ-ე-მ-ს-ი — (თვალცრმლიანი)

ღვთის გულისათვის, მოხუცი ვარ, ნუ დამსჯი, მეფეც!
ო-ი-ღ-ი-პ-ო-ს-ი — (მცველებს) პეო, მონებო, შეუყარით საბლით
ხელები!

მ-წყ-ე-მ-ს-ი — ნეტა რად მტანჯავთ, ხელმწიფეო, რა გნებავთ
ჩემგან?

ო-ი-ღ-ი-პ-ო-ს-ი — ჭეშმარიტება... ამ კაცს ბავშვი ხომ შენ
მიეცი?

მ-წყ-ე-მ-ს-ი — (ნთვლიანად)
ეხ, დადო მეფეც!.. ნეტავ იმ დღეს მოვმკვდარყავო.

ო-ი-ღ-ი-პ-ო-ს-ი — ეხლა მოკვდები, თუ სომაროლეს არ
ადმოიბუცე.

მ-წყ-ე-მ-ს-ი — (ყუფდ. თავისთვის)
ეი ბქმას, უ-უთქველობას, ეხ, დავიღუპე..

მ-წყ-ე-მ-ს-ი — (ყუფდ. თავისთვის)
ეი ბქმას, უ-უთქველობას, ეხ, დავიღუპე..

ო ი დ ი ბ ო ს ი — (მოუთმენლად) შენს პასუხს ვუცდი, არ
განფრთხილდე...
მ წ ყ ე მ ს ი — პო, მე მივეცი...
ო ი დ ი ბ ო ს ი — (მღელვარებით) ესეც მიიღებ, შენა იყო თუ
სხვისი შვილი?
მ წ ყ ე მ ს ი — არა, ის ჩემი როდღე იყო, სხვამ ჩამაბარა...
ო ი დ ი ბ ო ს ი — ვისი სახლიდან იყო ბავშვი, ვინ ჩაგაბარა?
მ წ ყ ე მ ს ი — (ოიდიბოსს ფეხებში ჩაუვარდება)
ჩემო ხელმწიფე, ნულარ ჰკითხავ, ღვთის გულისათვის!
ო ი დ ი ბ ო ს ი — (აკოვებულად)
თუ გინდა სული შეგარჩინო, პასუხი-მეფი...
მ წ ყ ე მ ს ი — აბა, როგორ ვთქვა... ლაიოსის სახლიდან იყო...
ო ი დ ი ბ ო ს ი — (მცირე პაუზის შემდეგ, მართლმადიდებლურ ხმით)
მოხდა თუ შეუძენ ნათესავი?
მ წ ყ ე მ ს ი — ვაი ჩემს თავსა!
ამ ბოროტების თქმაც კი ისე სამინელია...
ო ი დ ი ბ ო ს ი — (ცრულ, თავისთვის)
და უფრო მეტად გაგონება... (მწყემსს) თქვე, დაასრულე...
მ წ ყ ე მ ს ი — ის ლაიოსის ვაჟი იყო... (სასაზღვრისკენ ხელს გაიშ-
ვებს) მეუღლეს ჰკითხე...
შენ უყვით იცის...
ო ი დ ი ბ ო ს ი — (ბურანში წასული)
განა თვითონ მან მოგცა შვილი?
მ წ ყ ე მ ს ი — დიახ, მეფეო! თვითონ!
ო ი დ ი ბ ო ს ი — რისთვის?
მ წ ყ ე მ ს ი — მოსაკვდინებლად.
ო ი დ ი ბ ო ს ი — შვილი ვასწირა?
მ წ ყ ე მ ს ი — ეშინოდ. წინასწართქმულის...
ო ი დ ი ბ ო ს ი — თქმულია ია იყო?
მ წ ყ ე მ ს ი — თავის მამას შვილი მოკლავსო...
ო ი დ ი ბ ო ს ი — მერყდა ამ კაცს რად მიმეცო, რად არ
მოწყალი?
მ წ ყ ე მ ს ი — ვერ გაგიმეტე... თან ვიფიქრე, რომ შენ ეს
კაცი

თავის შორეულ ქვეყანაში გადაგვარგავდა.
აქის კი მოჰყვა ეგზოტიკური დიდი სამინელი...
როგორც ეს ამბობს, თუ ის ბავშვი შენა ხარ, მეფე.
შენზე ცოდვილი ქვეყნად არვინ მოიძიება...
(მწყემსი კუთხეში მდგება. კორიონელი მოაშვე სადღაც გაიპარება.
მცველნი სასახლის კარებისაკენ დაიხევენ. უზუტესნი შიშით ერთმანეთს
ვევრიან).
ო ი დ ი ბ ო ს ი — აჟ ყოველივე ნათელია... ვაი ჩემს თავსა!
თურმე ვყოფილვარ დამწყვეტილი დაბადებითვე,
ღედის სარეცელის წამბილწველი და მამის მკვლედი...
აჟ ჩაქრი, მზეო, თვალთა ჩემთა ნულარ უნათებ.
(თავზე მოსახამის კალთას წამოიფარებს და გააფთრებული სასახ-
ლისკენ გარბის).
ხ ო რ ო — ეჰ, რა ყოფილხარ, ადამიანო, }
თუ არა ლანდი მსწრაფლწარმავალი?
ეჰ, რა ყოფილხარ, კაცო ნეტარება,
თუ არა ფუჭად მოსაჩვენარი
და წაშიერი ზმანება მხოლოდ.
ჰე, ოიდიბოს, როს თვალწინ მიდგას
შენი წარსულის დიდებულება
და ნეტარება ქვესკნელს დანთქმული,
ალარვინ მიჩანს სვებედნიერად...
შენ, ვინც ამაღლდი ხელმწიფეებამდე,
ვინც სამინელი ფრთოსნის განდევნით
სამშობლოს ჩემსას გაუჩინდი მხსნელად,
ჰოვცე სრულქმნილი ბედნიერება
და მეფეება თებეს ქვეყნისა...
ვისაც არასდროს არა გკლუბია
ხოტბა, თაყვანი და ნეტარება...
ესლა გინდა ხარ, პოო, ბედკრული!
ვინ არის, ეგზოტიკური რომ განეწიროს
დაუდგრომელი ბედის ტრიალსა?
ჰე, ოიდიბოს, ხელმწიფეთ შორის
სახელოვნებით სწორუპოვარი!
ერთ სარეცელზე შვილი და მამა,

ერთ განცხადებით ნეტარებითა?
ანდა მშობელი მამის საწოლმა
შვილისგან ეგზოზ დიდი შებილწვა
ნეტავ ამდენ ხანს ვით დაითმინა!
მაგრამ დრომ, ყოვლას მამხილებელმა,
ესლა საქვეყნოდ ახადა ფარდა
შენი სიბრძავით ქმნილ შეცოდებას...
ჰოი ბედკრულო, ძვე ლაიოსის!
ნეტავ ჩემს თვალთა სულ არ ვნახეთ...
მაშინ არც ასე დაიმდიდრეოდნენ
სასოწარკვეთით მტირალნი თვალნი,
რომ აღმიხილე სასიხარულოდ
და მწუხარებით კვლავ დამხუტე.

მხეცალი — (სასახლიდან გამოსვლის)

ვაი, რა მოხდა! ეს რა მოხდა!.. რა საზარლობა!
ოდეს გაივებთ და იხილავთ, უფალნი ჩემნი!
გულს ჩაგწყდებთ, თვალნი ცრემლით დაგემდიდრებთ,
თუ კიდევ გიყვართ ძველი სახლი ლაბრაფიების
ვერცა ისტრასის, ვერც ფასისს შავმა ტალღებმა
ვერცა წარეცხონ იგი ცოდვა და ბოროტება, —
რადც ნებისთ თუ უნებლიეთ ამ ჭერქვეშ ქმნილა
და რაც საქვეყნოდ განცხადდება ამიერიდან.

პირველი მოხუცი — რაც ვიცით, ისიც ჰყოფნის
გულსა, მეტს რაღას გვეტყვიან?

მხეცალი — აწ იოკასტე აღარ ცოცხლობს...

პირველი მოხუცი — ჰოი საბრალო!
განა ვინ მოჰკლა?

მხეცალი — არც არავინ, თავი მოიკლა...

ნეტავი თქვენა, რომ მის სიკვდილს არ დასწრებინართ!
მე კი იქ ვიყავ, თვალით ვნახე ეს საზარლობა...

(გმინვა-წამება დედოფლისა უკანასკნელი)

მაშ მოისმინეთ: წუთის წინათ. როს იოკასტე
საშინელ ჭმუნვით ფერმიხდილი თქვენ განგვირდიდით,
სწრაფად ტალანი გაიბრძნა და თმების გლეჯით
საწოლ ოთახში შევარდნილმა კარნი დახურა:

ჩვენც იქ დავდებოთ... და მოგვესმა, რომ დედოფალი
აწ განსვენებულ ლაიოსის ლანდს შესჩიოდა:
„ო, ჭბედურო! თუ გახსოვსო ეს ბნელი ღამე,
როს ჩვენ ერთობით გავაჩინეთ შენივე მკვლელი
და ჩემი ქმრობით ბედკრულ შვილითა წარმოშობილი...“
თავის საწოლსაც დაატრია: „ქმრისგან ქმარი,
შვილისგან შვილი მე, წყეულმა, აქ დავბადეთ...“
შემდეგ, არ ვიცი, დედოფალი ვით აღესრულა...
რადგან უცრად შემოიჭრა ობიბოში,
საშინლად სახეარულო ითხოვდა ხმალსა,
გაოგნებული აქეთ-იქით რომ აწყდებოდა...
თან გაჰყვიროდა: „სად არისო აქ ცოლი ჩემი,
ცოლი კი არა დედამი... დიძლი დედაო?“
ჩვენც თიბობას შევყურებდით ზმაგყმენდილნი
და იოკასტეს სიკვდილი კი გამოგვეპარა...
ჩვენ როდი გვითქვამს... აღბათ მეფეს მწუხარე სულმა,
ან თუ განგების იღუშალმა ზმამ ჩასჩურჩულა,
რომ იგი წამსვე იოკასტეს ოთახთან გაჩნდა,
ერთი საზარლოდ დაიდმეფლა და მძლავრი დარტყმით
შელეწა კარნი თავის ურდულ-კოჭებიანად...
შეიჭრა შიფნით და რა ვნახეთ... ჰოი, რა ვნახეთ?!
თოვზე ეკიდა დედოფალი და ირწყოდა...

საბრალო ქმარმა მარყუჟიდან გამოხსნა იგი
და როცა ნახად თბილი გუფი ძირს დაასვენა,
აი აქ მოხდა უფრო მეტი საშინელება:
ობიბოსმა მოცვალებულ ცოლს გულზე ახსნა
ბაღთა ოქროსი, შესაკვრელი მოსასხამისა,
თვალნი მჭმუნვარედ ჭერს მიბაჰრო და ეს წარმოსთქვა:
„თქვენ ვერ იხილეთ ჩემგან ქმნალო ბოროტებანი!
თქვენ ვერ იხილეთ საყვარელი მშობელი ჩემნი,
თქვენ ვერ იხილეთ ვერც მოყვასნი ჩემი ერთგულნი...
და ვერცა ნახეთ, ვის ნახვასაც ევრე ვნატრობდი,
რადგან გეკრძალვით ყოვლის ნახვა აწ და მარადის...“
რა ეს წარმოსთქვა, ზე ასწია უპე-წამწამნი

და პარმასვილი ბალთით თვალნი გამოითხარა...
მყის ღაპაღუპით წამოვიდა სისხლის წვეთები...
და განა მართო სისხლი იყო? ო, სისხლთან ერთად,
ორივე თვალიდან შავი წყალი მოთქრიალებდა...
ამრეგად ქმარმა ცოლის ტანჯვა გაიზიარა;
უეჭველია, არ ჰკლებიათ მათ ნეტარება,
ესლა კი სახლი, ეგზოზ დიდი სოხარულისა,
იქცა სიკვდილის, სირცხვილის და ცოდვის სავანედ.

ხო რა — ესლა რას შვრება უბედური?

მხეცალი — ყვირის, მძვინვარებს...

კარნი გააღეთ, ყველამ ნახოს მამისშველელო...

ვინც თავის დედას... ო, არ ძალისძის განვიმეორო...

გარეთ მოიწევს, სურს ესლავე რომ გარდინეწოს,
მაგრამ საბრალო ფეხზე ძლივს დგას და უმეგზუროდ,

რალა თქმა უნდა, ვერსად წავა... პა, უყვე მოჰყავთ...

(მწყემსი, რომელიც ამას დიდი გულისყურით უსმენდა, სისხლის
ასლა კიბეზე ჩამოვდა, თიღბოსს ელოდება)

ო, მისი სილვა თვით მოსისხლე მტერს მოჰგვრის
ცრემლსა...

პირველი უხუცესი — აი წამება ენით უთქმელი!

ჯერ არნახული საშინელება!

რა შეგმა ფიქრმა დაატრიალა

შენს ტანჯულ სულში ეგ ქარიშხალი,—

რომ მთლად აღგავა სიცოცხლე შენი?

თქვი, ვინ გარჯუნა, რომელმა ღმერთმა

ეს დიდი რისხვა, ტანჯვა ესდენი?

მსურს რამე გკითხო — სიტყვა ვერ ვბოგე...

მსურს შემოგხედო — თვალს ვერ ვისწორებ...

ო, სისხლს გეიყინავს ეს საზარლობა!

ოიდიპოსი — (შემოჰყავთ, იგი ჯერ კიდევ ბუჩანშია)

ო... აქ სადა ვარ, სად მომიყვანეთ?

რა უცნაურად ჟღერს ჩემი ხმა ამ უკუნეთში...

ო, ბედისწერავ, საით მიმართევ?

პირველი უხუცესი — შეცოდების გზით მწუხარების
შავ უღაბნოში...

ოიდიპოსი — ორგელივ ღრუბლები, სულ ღრუბლები, შავი
ღრუბლები...

მხოლოდ წყვდიადი... უსასრულო... განუქვრეტელი...

ო, თვალთა გუგა როგორ მემწვს!.. არაფერია!..

~~ათასჯერ უფრო მტანჯველია სოფნა წარსულის...~~

პირველი უხუცესი — სულოც და ხორციც ერთად
გტყევა, ჰოი ბედკრულო,

აბა რა გითხრათ, თიღბოსს, რით განუგეშოთ?

ოიდიპოსი — (იძნო)

ო, ჩემო ძველო მეგობარო, შენი ხმა მესმის...

გსურს მანუგეშო? კვლავ არ იშლი ჩემს ერთგულებას?

შენმა ხმამ ბნელი გაანათა და დაგინახე...

რატომ დადუმდი. თქვი, ზომ ვიცანი?

პირველი უხუცესი — დიახ, ეს შე ვარ, თიღბოსს,
მაგრამ მითხარი,

ეგრე საზარლად თვალნი რატომ დაიხსახიჩრე?

ვინ გაიძულა, კაცმა თუ ღმერთმა?

ოიდიპოსი — აბოლომ, ჩემო მეგობარო, დიდმა აბოლომ...

მან განმიზადა საშინელი ეს სატანჯველი.

თვალნი კი თვითონ ჩემივე ზელით ამოვიღადრე...

რისთვის მეცქირა!..

პირველი უხუცესი — ეხ, რა გითხრა, იქნებ სწორს
ამბობ...

ოიდიპოსი — თქვი, რალა დამრჩა გასაზარელი?

ვინ დამენახა, რა მცვარებოდა?

ო, მეგობარო, გთხოვთ, წამიყვანეთ...

ესლავ განმადღეთ, შორს გადამკარგეთ...

ღვთით დათრგუნვილი... კაცთ საძულველი.

პირველი უხუცესი — შენ იმდენადვე უბედო ხარ,
რამდენად ბრძენი...

ნეტავ, მეფეო, სულ არ მენახე!..

ოიდიპოსი — წყულომც იყოს აუბედოარი ის სიბრალოდო,
რამაც ჩემს ფეხზე მწყემსს თასამები შეახსენებინა
და მე დამიხსნა სიკვდილისგან, ოდეს სიკვდილო
თვითონ ხსნა იყო ამ საშინელ სატანჯველისგან...

ო, ამ საბრალოლს შეეწირენ მოყვასი ჩემი
და სათნოება იქცა ცოდვად და ბოროტებად...
პირველი უხუცესი — მაინც ამ საქმეს, თიღობის,
გერე მოგიწონებთ...

უკუნ ღამეში მუდამ ყოფნას სიკვდილი სჯობდა...
ოიღიპოსი — არა, არ მითხრა!.. ამათა ეგ საყვედური!
ეხლა ჩემთვის ჯობს უკუნეთი უფანთიადო.
თვითონ გამსაჯე, იქ, ჰადესში. მოკლულ მამისთვის.
ტანჯულ დედისთვის თვალბილულსა ვით შემეხედა?
ანდა ბედკრული შვილებისთვის ვითლა მეცქირა.
რომელთ წინაშე ისე დიდი მქვს შეცოდება
რომ ამას თავის დახრჩობითაც ვერ ვავასწოვებ.
არა, ო, არა! ეს ცა. მიწა, კოშკი მაღალნი.
თუ ღვთის ქანდაკნი ჩემს საამოდ არ გაჩენილან...
მე თვითონ ვბრძანე, ოდეს შეპყრა ხელმწიფის სკიატრა
რომ განედევნათ ცოდვისმქნელი, ღვთით მხილებული...
ეხლა აღმოჩნდა, მკვლელო მე ვარ, და თუ ეს მე ვარ,
თვალიც რომ მქონდეს. ხომ სიარცხელით ვერ
შეგხედავდით?

ნეტავ შემეძლოს სამუდამოდ დავიხშო ყურნი
და ჩემი გვაში ჩემივ ტანჯვის ციხედ ვაქციო...
არცა ჩმა შესმას... არც არავინ შემოიხედოს...
მშფოთვარე სული იქნებ უფრო განისვენებდა...
ო, კითერონო! რად მიმიღე წიაღსა შენსა?
და თუ მიმიღე, რად არ მომკალ? მაშინ ეს ხალხიც
ვერ შეიცნობდა ბედუკულობათ ჩემს დაბადებას.
შენცა, კორინთოს ძველო სახლო! შენცა, პოლიბოის!
ეგზომ თვალადი რად გამზარდეთ, თუ ჩემს სხეულში
შავი მღუწყი მწიფდებოდა ბოროტებისა?
ო, მწვანე ტყეო, ვიწრო ხეო. გზაგვარდინო!
აბა თუ გახსოვთ საზარელი ის მოგზაური,
თავისი ზელით მამის სისხლი რომ მოგასხურათ?
განა ეს იყო გამარჯვება? შემდეგ... ო, შემდეგ...
ქოჩილი... ტურფა დედოფალი, ვისი ქმრობითაც
გავხდი სათავე ფნით უთქმელ საზიზღრობისა:

ქმარე დედისა, შვილი ცოდისა, ძმა შვილებისა...
და ცხადად მოხდა. რაც სიზმრადაც სარცხვინელი.
გთხოვთ, გევედრებით, ამ ქვეყნიდან შორს

გარდამხვეწეთ...
მომკალით, ზღვაში გადამაგდეთ! ქვესკნელს დამშალეთ,
ისე, რომ თქვენგან სამუდამოდ თვალს მივეფარო.
ნუ გეზიზღებია... ბარემ მოდიტ, ხელო ჩამქიდეთ...
ჩემო შეხების გეშინიათ? ნუ გეშინიათ!..
თუმცა ჩემშია ქვეყნის ბიწი, ცოდვა, ვაება...
არა, ეს თქვენზე არ გადმოვა. ო. ძმანო ჩემნო!
ზორო — აგერ კრეონიც... რასაც ჩვენ ვეთხოვ, მას
მოასხენე...

ეხლა იგია შენს მაგიერ მეუფე ჩვენი...
ოიღიპოსი — ვაგლახ! ო. ვაგლახ! მას ვანკითხვა რა პირით
ვთხოვო,

ვისდამიც ვიყავ ეგზომ მკაცრი, მანუკითხველი...
(მარჯვენა მხრიდან მხლებლებთან ერთად სცენაზე შემოდის კრეონი,
თიღობის დიდხანს შეპყურებს დაღონებული. შემდეგ ერთ მხლებელს
მოიხმობს და რაღაცას ჩასატურჩულებს. მხლებელი სასახლეში შედის, ხო-
ლო კრეონი თიღობის ალერსიანად მხარზე ხელს დაადებს.)

კრეონი — ნუ გეშინია, თიღობის, არასა გაყვედრი...
განა აქ მოველ, რომ დავცინო შენს მწუხარებას?
(ხალხს) თქვენ კი, კაცისა თუ არ გრცხვენიათ, ამ ცას
შეხედეთ...

მზეს, ყოვლისშემქმნელს, რად აყადრებთ ამ უხამსობას,
რასაც ეს მიწა, წმინდა წვიმა თუ ღლის სინათლე
თავის წიაღში ვერ მოითმენს გაშიშვლებულსა.
ეხლა იქ, სახლში შეიყვანეთ ეს უბედური!
მხოლოდ ნათესავთ აქეთ უფლება, რომ თანაგრძნობით
გასიჯონ წყალუდი მოყვასისა და უსალბუნონ.

ოიღიპოსი — შენგან ამ ნუგემს არ ველოდი, ო, ძმანო,
კრეონ!

და რადგან ეხლა მოკვდავთ შორის უბოროტესთან.
კეთილგანზრახვით, თანაგრძნობით მობრძანებულხარ,
გთხოვ ჩემი სიტყვა მოისმინო უკანასკნელი...

კრეონი — რას მთხოვ, მითხარი?..

ოიდიპოსი — (სასახლიდან ბრუნდება კრეონის მზღებელი, რომელსაც უკან მოჰყვებიან შავად შემოსილი გამდელი და თიდიპოსის უწლოვანი შვილები — ისმენ და ანტიგონე)

— იქ, ჩემს სახლში, უსულოდ რომ წევს,

როგორც ჰმუნოდეს, ღირსეულად დაამარტყინე...

მე კი, ქვეყანა ბიწისაგან რომ განიწმინდოს,

სჯობს გადამკარგოთ კითხრონის უდაბურ მთასა...

იქ, სადაც ერთხელ გადასდგეს... ის მთა ჩემია.

თვით დედ-მამისგან ჩემ-სამარედი მონიჭებული... (6)

მინდა იქ მოვკვდე და აღსრულდეს მშობელთა ნება.

თუმცა კი ვეჭვობ... თუ სიკვდილმა დამინდა ბაღლი,

მხოლოდ იმიტომ, რომ ეს მეზი თავს დატყუბოდა,

იქნებ შიშნული და ქარ-ყინვა არც ესლა მღუპავს...

მაგრამ ეს საქმე ბედისწერამ თვითონ განავსო.

აი, რას გეტყვი... ჩემს ვაჟებზე ნუ სწუხარ, კრეონ!

დაკაცებულნი თავის საზრდოს ყველგან ჰპოვებენ.

მაგრამ ასულები უწლოვანი ჩემი ასულები.

რომელთაც ცალკე ჯერ არასდროს არ დგმათ ტაბლა

და ჩემს ლუქმასაც სიყვარულით მათ ვთავაზობდი,

მეტოყდებიან... ნუ მოაკლებ მათ ზრუნვას, კრეონ!

ნეტავი ესლა აქა მყვანდნენ, ხელს შევაჩებდი,

და ამით თითქოს მათ სახესაც დავინახავდი...

ერთს გაგიბედავ, ზელმწიფეო: მომეცი ნება.

ჩემი თბილნი გულს ჩავიკრა უკანასკნელად

და მათთან ერთად დავიტყო ეს მწარე ხვედრი...

ჩუ! ეს რა არის? ჰოი, ღმერთნო, ჩემი მტრულები!

აქ, სადღაც ახლოს ქვითნებენ... ჰო, აქ არიან...

შევბრალებივარ... ჩემს ძმას, კრეონს, შევბრალებივარ!

ჩემი შვილები აქ მომგვარა, ხომ მართალს ვამბობ?

კრეონი — ჰო, მართალს ამბობ, თიდიპოს, შენს ახლოს

დგანან,

კარგად ვიცოდი, მათი მოსვლა გაგახარებდა.

ოიდიპოსი — ამ სიკეთისთვის, ძმაო კრეონ, კურთხეულ

იყავ.

რაც მე დამაკლდეს დღე, ღმერთებმა შენ გიწყალობონ.

თქვენ კი სადა ხართ, შვილნო, ჩემნო, მოდი, შეგხვდეთ...

ჩემს ხელებს უფრთხიო? ეს ზომ თქვენი ძმის ხელებია,

ეგზომ უწყალოდ რომ დასთხარეს თქვენს მამას თვალნი,

და სინათლიდან საუკუნო წყვდიადში დანთქეს.

ეხ, რა ვიცოდი, უბედურმა, ო, შვილნო ჩემნო,

რომ ჩემი დედაც იყო იგი, ვინც თქვენ დაგბადათ...

აწ გვიან არის და დავტირი ჩვენს ბედშავობას...

ვიცი, ო, ვიცი რა ტანჯვაშიც უნდა დალიოთ

კაცთა აუგით მოწამლული სიცოცხლის დღენი...

განა სად ჰპოვებთ ისეთ ღზინას, თამაშს, დღეობას.

რომ თქვენ იქიდან სახლს ქვითნით არ მიაშუროთ?

შემდეგ, როდესაც დრო მოგიწევთ დაქორწინების.

განა თქვენს შერთვას ქვეყანაზე ვინმე გახედვს?

და არ შეზარავს სამარცხვინო ეგ წარმოშობა?

ნაზად ხელს თავზე ვინ დაგისვამთ, ვინ განუგეშებთ?

არავინ, შვილნო, სულ არავინ... განკიცხულები.

უქორწინებლად უნდა დასტკნეთ და გარდავლინდეთ.

ერთი იმედი მხოლოდ შენ ხარ, მენელოს ძე!

ამათ მშობელნი დაეღუპათ, აწ შენ ხარ მამა.

დღე, ნუ ენებებ, რომ საბრალო მოყვასი შენნი

ეხეტებოდნენ ვით გლაზაკნი უთვისტომონი,

და მათი ბედი დაეშვაგავსოს ჩემ სასტიკ ბედსა...

შენც კარგად იცი, მათ შენს გარდა არ ჰყავთ არავინ...

გთხოვ. შენს კეთილ გულს შეაფარო უმწეო ბაღლნი...

თანხმობის ნიშნად ხელი მომეც, დიდსულოვანო!

(კრეონი თიდიპოსს მხურვალედ ხელს ჩამოართმევს)

გმადლობ. ზელმწიფე! თქვენ კი, შვილნო, სხვასაც

გეტყოდით,

მაგრამ ჯერ სიბრძნეს ვერ შეისმენთ უსასკონი...

მხოლოდ გისურვებთ, ეს სიმწარე გაშოროთ ღმერთმა.

კრეონი — გთხოვ, პალატს შედი, თიდიპოს!

ოიდიპოსი —

არა, ზელმწიფე!

წინ დიდი გზა მაქვს გასავლელი... მშვილობა თქვენდა!

(ოიდიპოსი შვილებს მოეხვევა, კრეონსა და უბუცესებს გამოეთხოვება და რამდენიმე ნაბიჯს გაუბეღადალ გადადგამს, რომ ამ დროს მწყემსი, რომელიც აქამდე სასახლის კართან თავისთვის იჯდა, ოიდიპოსთან მივა-
დას მარცხენა ხელში ხელს ჩასჴიდებს, ბოლო მარჯვენაში ყავარჯენს დაა-
ჴერინებს. შეცბუნებული ოიდიპოსი უკან დაიხვეს... მოხუცი ჩუმაღ 'ეტ-
ყვის თავის ვინაობას... ამ უცნაური შეხვედრით განცვიფრებული ოიდი-
პოსი მოხუცს მარცხენა ხელს მხარზე ჩამოსდებს და მარჯვენა ხელში, და-
ჴერილად ყავარჯენის ცეცებით მწყემსთან ერთად მიდის. კრეონი, გამდელი
და ბავშვები კიბის ზედა საფეხურიდან გასცქერაიან ვარსკვლავიანი ცის
ქვეშ უსახრულობაში შიშავალ ოიდიპოსს...

უბუცესნი თვალით აცილებენ თებეს დიდებულ ხელმწიფეს. ბავშვები
უხმოდ ჴვითინებენ).

პირველი უბუცესი — კადმოსის ხალხნო! ჰა,

ოიდიპოსს ბრძენი და ჴველი...

ვინცა შეიცნო ძნელ ამოცანის იდუმალება...

ვინცა ამაღლდა თვით ყოვლისშემძლე ხელმწიფებამდე
და ვისი ბედიც ყოველ კაცთაგან იყო საშუარველ, —
ეხლადა ნახეთ, თუ რა ღაშინელ უფსკრულს

დანთქმულა...

გახსოვდეთ, კაცსა სვებედნიერი არ ეწოდების,
ვიდრე უნადვლოდ, სრულად არ განელის ცხოვრების
გზასა!

დასასრული